F 171
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კ რ ე ბ უ ლ ი

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

## № 12

**დეკემბერი—ДЕКАБРЬ**

თბილისი — ТБИЛИСИ

1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ნ. ა. ფოფხაძე

ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე

კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 1-11-78 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31-III-78 წ.;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 7,4;

შეკ. № 104 უე 04015 ტირაჟი 5000

ფასი 10 კაპ.

აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური
ცენტრის სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.

Типография Республиканского научно-методического центра
воспитательной работы, ул. Нуцубидзе № 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

**1977 წლის 2 ნოემბრის**

**ბრძანება № 754**

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ნაკლებეფექტური აღმზრდელობითი და განმარტებითი მუშაობის, მათ მიერ თამბაქოს წევის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების უგულებელყოფის გამო შეიმჩნევა თამბაქოს მწეველ მოზარდთა რიცხვის ზრდის ტენდენცია.

მთელ რიგ სკოლებში მოსწავლეები ეწევიან სკოლის შენობაში. თამბაქოს წევას მასობრივად აქვს ადგილი სკოლისგარეშე ღონისძიებების დროს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. შეიმჩნევა, რომ თამბაქოთი გატაცებული არიან აგრეთვე მოსწავლე გოგონებიც.

თამბაქოს წევისადმი მოსწავლეთა ინტერესი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია უფროსებისადმი — მშობლებისა და მასწავლებლებისადმი მიბაძვის სურვილით.

დაუშვებელია მდგომარეობა, როცა სკოლის მუშაკები შეგნებულად უვლიან გვერდს იმ გარემოებას, რომ უპირატესად მათი მიზეზით, მოზარდთა ჯანმრთელობა თანდათან უარესდება და უვითარდებათ მათ მიდრეკილება სიცოცხლისათვის საშიში დაავადებებისადმი, აგრეთვე იქმნება ხელსაყრელი პირობები ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო და აუტანელი მოვლენის — ნარკომანიის გავრცელებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენს:

1. ჩაითვალოს სკოლის მუშაკთა და პედაგოგიური საზოგადოებრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მოსწავლეთა შორის თამბაქოს წევის აღმოფხვრა, მიჩნეულ იქნეს იგი აღმზრდელობითი პროცესის არსებით შემადგენელ ნაწილად.

2. აიკრძალოს თამბაქოს მოწევა

— საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში;

**— მოსწავლეთა თანდასწრებით იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობით ან მისი მონაწილეობით.**

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების, განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული მართვის, გადასამზადებელი, სამეცნიერო, მეთოდური, სამეურნეო, პედაგოგიური პრესის ორგანოებისა და დაწესებულებების შენობებში **თამბაქოს მოწევა ნებადართული იქნას მხოლოდ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში.**

4. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების საქმის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, თუ რამდენად უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის აღზრდაზე პედაგოგის ცუდი ჩვევა და პირადი მაგალითი, **თამბაქოს წევისათვის თავის დანებების რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ ყველა მასწავლებელს, სკოლის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სახალხო განათლების ორგანოების, განათლების სამინისტროს სამეცნიერო და მეთოდური ცენტრების, პედაგოგიური პრესის ყველა მუშაკს; კატეგორიულად აეკრძალოთ მათ მოსწავლეთა თანდასწრებით თამბაქოს მოწევა ყველგან, აგრეთვე, დაევალოთ განახორციელონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა ღონისძიება მათ წინააღმდეგ, ვინც თამბაქოს ეწევა ბავშვების თანდასწრებით.**

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში თამბაქოს წევის წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა წარიმართოს თანდართული **„მეთოდური წერილის“** მიხედვით, რომელშიაც გამოყენებულია სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიისა და სწავლების შინაარსისა და მეთოდების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების რეკომენდაციები.

სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლისგარეშე დაწესებულებებმა შეიმუშაონ და მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე შესაბამისად კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების, პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე დაამტკიცონ კომპლექსური გეგმები იმ ღონისძიებების განსახორციელებლად, რასაც ითვალისწინებს ეს ბრძანება და თანდართული „მეთოდური წერილი“.

დადგინდეს, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა ამ ბრძანებით და თანდართული „მეთოდური წერილით“ გათვალისწინებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაზე ეკისრებათ სა-

ხალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ხოლო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი ფუნქციონალურად დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა რგოლის ინსპექტურას.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთი ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლისგარეშე დაწესებულებებმა:

— თამბაქოს წევის წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა მიიჩნიონ განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ საქმედ, როგორც მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება; სამინისტროების კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე კვარტალში ერთხელ განიხილონ თამბაქოს წევის წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობა და მიიღონ კონკრეტული ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

— გამოიყენონ მუშაობის ყველა ფორმა სათანადო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად იმ მიზნით, რომ თამბაქოს წევის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის გაიშალოს ერთიანი ფრონტი რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამ ბრძოლაში ჩააბან მშრომელთა ფართო მასები.

— თამბაქოს წევის წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობის საკითხების გადაწყვეტისას უარყონ შიშველი ადმინისტრირება, რათა გამოირიცხოს პირობები, როცა სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგები სასჯელის შიშით ფარავენ თამბაქოს მწეველ მოსწავლეებს. ამასთან, მკაცრად იმსჯელონ იმ პედაგოგთა და სკოლის ხელმძღვანელთა მიმართ, ვინც თავს არიდებს და საკუთარი უმოქმედობით, ლიბერალობით, პირადი მაგალითით ხელს უწყობს თამბაქოს წევის გავრცელებას.

— ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 25 ივნისისათვის.

7. განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე), აღმზრდელობითი მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. თ. მდივანი) შექმნას თამბაქოს წევის წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობისათვის საჭირო თვალსაჩინოება იმ ვარაუდით, რომ მას საჭირო რაოდენობით მიაწვდის სკოლებს 1978 წლის 10 იანვრისათვის.

8. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. ი. ზედგენიძე) წინაშე, რათა გაძლიერდეს სკოლების საექიმო სამსახურის პასუხისმგებლობა **თამბაქოს წევის წინააღმდეგ პროფილაქტიკურ მუშაობაში.**

9. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. მ. მეგრელიშვილი) და ცეკავშირის გამგეობის (ამხ. კ. შავიშვილი) წინაშე, რათა სავაჭრო დაწესებულებებში განხორციელდეს ეფექტური ღონისძიებანი, რომლებიც მთლიანად გამორიცხავენ მოზარდებისათვის თამბაქოს მიყიდვას.

10. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (ამხ. ო. თაქთაქიშვილი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის (ამხ. ა. დვალიშვილი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის (ამხ. გ. ენუქიძე) წინაშე, რათა მათი ხაზით განხორციელდეს დიფერენცირებული, მოზარდებისათვის განკუთვნილი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის განმტკიცებას.

1. გაზეთმა „სახალხო განათლებამ", ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" და მისმა დამატებებმა ამ მიმართებით გეგმაზომიერად, კვალიფიციურად, მრავალფეროვნად გასწიონ პროპაგანდისტული საქმიანობა, ფართოდ გააშუქონ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების, განათლების ადგილობრივი ორგანოების დადებითი გამოცდილება.

12. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამ საკითხზე გამოქვეყნება განათლების სამინისტროს მიმართვისა მშობლებისადმი, რესპუბლიკის საზოგადოებრიობისადმი. ამხ. გ. საყვარელიძემ (მოწვევა), ამხ გ. საჯაიამ, ამხ. ნ. შველიძემ, ამხ. მ. კობახიძემ 10 დღის ვადაში შეიმუშაონ და განსახილველად წარმოადგინონ მიმართვის პროექტი.

13. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა დააწესონ კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე), აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. მ. ოჩიგავა), სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. კ. სუჯაშვილი) 1978 წლის იანვარში მოახსენონ სამინისტროს კოლეგიას ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

1977 წლის 3 ნოემბრის

ბრძანება № 758

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე**

| | |
|---|---|
| ფოფხაძე ნუგზარ აკაკის ძე | — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე |

**საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები:**

| | |
|---|---|
| სუჯაშვილი კობა არსენის ძე | — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექციის უფროსი |
| დარჩია მამია დომენტის ძე | — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი |
| ვარდოსანიძე გიგუცა ბესარიონის ძე | — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი |

**საატესტაციო კომისიის წევრები:**

| | |
|---|---|
| ასპინძელაშვილი გურამ ლევანის ძე | — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების რეფერენტი |
| კობახიძე მანანა კალისტრატეს ასული | — ქ. თბილისის უშინსკის სახელობის № 1 ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეშელავა ვალენტინ ივანეს ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უფროსი იურისკონსულტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი

კოსოვა ეკატერინე ანდრიას ასული — ქ. რუსთავის საბავშვო სახლის დირექტორი

კეცხოველი ნანა ლევანის ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებების განყოფილების ინსტრუქტორი

ზაქარეიშვილი ზაქარია ივანეს ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორი

მიქაელიანი გიორგი გურგენის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

მგალობლიშვილი მავრა ილარიონის ასული — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი

მერკვილაძე გიორგი ნოშრევანის ძე — განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი

მელქაძე ელენე ანტონის ასული — ა/კავკასიის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი

ჟორჟოლაძე არჩილ სამსონის ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რზაევა ალმაზარ — თბილისის 73-ე საშუალო სკოლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ღარიბაშვილი რობერტ სპირიდონის ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

შეწირული ლიანა ილარიონის ასული — ქ. თბილისის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი.

საატესტაციო კომისიის მდივანი

კიკნაძე ნუნუ ვარდენის ასული — მასწავლებელთა ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

მინისტრი თ. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

1977 წლის 4 ნოემბრის

## ბრძანება № 760

## რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში 1976—1977 სასწავლო წლის შედეგებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ამოცანების შესახებ

მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება 1976-1977 სასწავლო წელში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის მიერ მოსწავლეთაა ცოდნის დონის ამაღლების თაობაზე დასახული რეკომენდაციების შესაბამისად.

ამ მიზნით შესწავლილი და განზოგადებული იქნა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოწინავე მასწავლებლის მუშაობის გამოცდილება: განხორციელდა ღონისძიებანი სკოლების დირექტორების და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დაოსტატებისათვის; პრაქტიკაში დაინერგა სკოლების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება; შემუშავებული იქნა მეთოდური მითითებანი და წერილები — ამჟამად მოზრდილთა სკოლებს მუშაობის ყველა ძირითად საკითხებზე აქვთ სათანადო სახელმძღვანელო ლიტერატურა.

გაფართოვდა სოფლის საღამოს სკოლების ქსელი. 1976-1977 წლებში 34 რაიონში მოხდა საღამოს სკოლების რეორგანიზაცია, რის შედეგად ამჟამად რესპუბლიკაში 21 დაუსწრებელი და 42 დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლაა; შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდობა სწავლებაში ჩაებას თავის სამუშაო და საცხოვრებელ ადგილზე.

მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა 1976 წელს 115, ხოლო 1977 წელს 112 პროცენტით შესრულდა — ამჟამად საღამოს და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა 58660-ს გადააჭარბა.

კარგად იმუშავეს და გარდამავალი წითელი დროშები დაიმსახურეს აჭარის ასს, გორის და საგარეჯოს რაიონების სახალხო განათლების ორგანოებმა; კარგი შედეგებია აგრეთვე ხობის, საჩხერის დმანისის, თერჯოლისა და სხვა რაიონებში — სხვადასხვა სახის საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდოები დაიმსახურა 29 პედაგოგიურმა და საწარმოთა კოლექტივმა, სახალხო განათლებისა და სხვა დარგების 140-მა მუშაკმა. ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების კარგ მაგალითებს იძლევიან ახმეტის, გორის, გურჯაანის, ყვარლის, მახარაძისა და სხვა რაიონების სამეურნეო ორგანიზაციებისა და სკოლების ხელმძღვანელები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ქ. თბილისის საღამოს მე-3, 23-ე, 27-ე, გორის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ახმეტისა და სხვა რაიონების სკოლებში, წინა წლებთან შედარებით ამაღლდა სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა ცოდნის დონე და აკადემიური მოსწრება.

საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის და მაღალხარისხოვნად ატარებენ მათ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ნ. ჩხენკელი, ლ. მაისურაძე (თბილისის მე-11 და 23-ე სკოლები), კ. ჯინორია (ცხაკაიას დაუსწრებელი სკოლა), ტ. კეტია (გუდაუთის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლა), ს. ნიკოლაევა (გორის დაუსწრებელი სკოლა), თ. გაჩეჩილაძე, მ. კოლიევი (თბილისის 23-ე სკოლა), ა. მღებროვი (საჩხერის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლა), ისტორიის ნ. მაღრაძე (თბილისის მე-19 სკოლა), გეოგრაფიის — დ. სატუროვა (თბილისის 36-ე სკოლა) და ბევრი სხვა.

ამასთან ერთად მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს: სათანადო ბაზის არსებობის მიუხედავად 1976-1977 სასწვლო წელში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა ვერ შეასრულა ქ. რუსთავმა, ქუთაისმა, წყალტუბომ, მცხეთის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, თელავის რაიონებმა. წლების განმავლობაში არ იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა ქ. ქ. თბილისში, ზუგდიდში, ფოთში, რაც იმის შედეგია, რომ სკოლები სათანადო მუშაობას არ ატარებენ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად.

საღამოს სკოლების მასწავლებელთა ნაწილი დაბალ დონეზე

ატარებს მეცადინეობას და ამასთან ლიბერალობას იჩენს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

სუსტად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას — ლ. მუჯირი მე-17 სკოლა), ე. ცინცაძე, გ. გიორგაძე (ბათუმის საოლქო სკოლა), ნ. ჩიტაიშვილი (ქუთაისის № 6 სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის — გ. ბუროვა (თბილისის მე-19 სკოლა), დ— ჯავახია (ფოთის № 1 სკოლა), მ. ჭანტურიძე, ნ. ჯიმშელაშვილი (ქუთაისის № 1 და №6 სკოლები), ლ. ჯინჭარაძე, დ. ჩაკვეტაძე (ბათუმის საოლქო სკოლა); მათემატიკის — პ. ხარაბაძე, დ. თვალიაშვილი (ქუთაისის № 6 სკოლა), ნ. თოფურია (ფოთის №1 სკოლა).

საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას; დაბალია მათი წერისა და მეტყველების კულტურა; არ სრულდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები; არაა დაცული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჩათვლების ნორმები. ქ. ქ. თბილისის, ფოთის, მარნეულის და სხვა რაიონების მასობრივი სკოლების ზოგი დირექტორი საღამოს სკოლას არ აძლევს სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების გამოყენების საშუალებას.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას შიდასასკოლო კონტროლი და მეთოდური მუშაობა. დირექტორების, მათი მოადგილეებისა და მეთოდისტების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგულარულად არ ესწრება გაკვეთილებს, არ ახდენს მოსმენილი გაკვეთილების ანალიზს და საჭირო დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს (გ. გოგოლაშვილი, ა. ჩილაშვილი ადიგენისა და უდეს სკოლები). დღემდე ყველა რაიონში არაა შექმნილი საგნობრივი მეთოდგაერთიანებები; ზოგან კი ისინი სუსტად მუშაობენ. თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის საღამოსა და დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებსა და მათ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში მოუწესრიგებელია სასკოლო დოკუმენტაცია.

შრომისა და სწავლის შეთავსებისათვის საჭირო პირობები არაა შექმნილი ასპინძის, ადიგენის, მაიაკოვსკის, ახალციხის, მარნეულის, მცხეთის, ონის, დმანისის, ბოგდანოვკის რაიონებში, ქალაქებში— ფოთსა და ტყიბულში, რაც იმით გამოიხატება, რომ არ ვრცელდება მოსწავლეებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები, სუსტი ურთიერთობაა სკოლებსა და სამეურნეო ორგა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიზაციებს შორის, არაა მოწყობილი სხვადასხვა რეჟიმიანი სწავლება.

მერვე და მეთერთმეტე კლასებს ვერ ამთავრებს მოსწავლეთა ნაწილი. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, სამტრედიის, სიღნაღის, თეთრწყაროს, წითელწყაროს, წყალტუბოს, წულუკიძის, ლენტეხის, ლაგოდეხის, დმანისის, ჭიათურის სკოლებში.

არადამაკმაყოფილებელი ზედამხედველობისა და საწარმოებთან შეუთანხმებელი მუშაობის შედეგად ზოგ სკოლაში სისტემატიური ხასიათი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებისა და კონსულტაციების გაცდენებს — გასულ სასწავლო წელს გაცდენილია სულ 1. 602. 542 გაკვეთილი, მათ შორის არასაპატიო მიზეზით — 882. 242. აფხაზეთის ასსრ სკოლებში გაცდენილია 252 950, აჭარაში — 122005, თბილისში — 292576 გაკვეთილი. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ქ. რუსთავში, ჭიათურაში, ქუთაისში. მეტიც, ბოგდანოვკის რაიონის დაუსწრებელი სკოლის პუნქტებში მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს, რისთვისაც სკოლის დირექტორი და სხვა მუშაკები დაკავებული თანამდებობიდან მოიხსნენ.

ეს ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად იმით არის გამოწვეული, რომ დღის სკოლის ზოგიერთი ხელმძღვანელი და პედაგოგიური კოლექტივი საჭირო დახმარებას ვერ უწევს საღამოს სკოლებს, ხოლო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ პრინციპულ მომთხოვნელობას საღამოს სკოლების საქმიანობის მიმართ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— გადაჭრით გააძლიერონ საღამოსა და დასწრებული სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი, სისტემატიურად შეისწავლონ ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშა-

ობის მდგომარეობა და გახადონ იგი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მსჯელობის საგნად;

—უზრუნველყონ მტკიცე, საქმიანი კავშირის დამყარება საწარმოებთან და დაწესებულებებთან, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მათი დახმარებით მიაღწიონ თვითეულ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას; ქმედითი ხასიათი მისცენ კომისიის-„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება“-მუშაობას;

—გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სამუშაო ადგილზე ახალგაზრდებთან საამქროს უფროსების, ბრიგადირების, ოსტატებისა და სხვა მუშაკთა მხრივ დამრიგებლური მუშაობის ფართოდ დანერგვისათვის და აამაღლონ ამ მუშაობის აღმზრდელობითი როლი;

— საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს მტკიცედ მოსთხოვონ სწავლების ხარისხის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის განვითარებისათვის იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა და რაც რესპუბლიკის მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის რეკომენდაციაშია მოცემული;

—სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა სპეციალური ცოდნის დონის და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; ქმედითი ხასიათი მისცენ მეთოდურ მუშაობას საღამოს სკოლების მასწავლებელთა შორის;

—შეუქმნან საღამოს სკოლებს მუშაობის ნორმალური პირობები, განამტკიცონ მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა;

—გააძლიერონ საშუალო განათლების პროპაგანდა მომუშავე ახალგაზრდებთან, მიაღწიონ იმას, რომ შეიქმნას მათი სწავლებისათვის საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო; მოზრდილთა სწავლების საქმეში ყველგან აქტიურად ჩააბან დღის სკოლების დირექტორები და პედაგოგები.

2. საღამოს და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა:

—გადამწყვეტი ზომები მიიღონ და მოაწესრიგონ მოსწავლეთა მეცადინეობაზე დასწრების საქმე; აღკვეთონ სკოლებში სახელმწიფო სახსრების არასწორად ხარჯვა—არ დაუშვან კლასებისა და ჯგუფების დაკომპლექტების შესახებ არსებული ინსტრუქციის დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვევა და ფინანსურ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საგანზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 12 აგვისტოს № 01-1-3080/8-71 წერილით;

—მოსწავლეთა დაკომპლექტება აწარმოონ წინასწარ, სათანადო მუშაობის ჩატარების საფუძველზე, შექმნან საჭირო პირობები საამისოდ, რათა ყოველი მოსწავლე ასრულებდეს სასწავლო დავალებებს და საამისოდ მტკიცედ იხელმძღვანელონ საინსტრუქციო-მეთოდური წერილით.—„საღამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“

3. ეს ბრძანება განხილული იქნას განათლების განყოფილებებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და მუშაობის გაუმჯობესებისათვის დაისახოს და გატარდეს ქმედითი ღონისძიებანი.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება.

მინისტრი — ო. ქინქლაძე

**დაეგზავნოს:** აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

**1977 წლის 4 ნოემბრის**

**ბრძანება № 761**

## ნორჩ ქიმიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

1976—1977 სასწავლო წელს ჩატარებული 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო სარაიონო (საქალაქო) ოლიმპიადებში გამარჯვებულმა რესპუბლიკის სკოლების VIII—X კლასების 1560 ნორჩმა ქიმიკოსმა. მათგან დასკვნით რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 216 მოსწავლემ. თეორიული და ექსპერიმენტული ტურების ჩატარების, მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების შედეგად ჟიურიმ გამარჯვებულად ცნო VIII—X კლასების 136 მოსწავლე.

ოლიმპიადისათვის უკეთესად მოემზადნენ ქ. ქ. თბილისის რუსთავის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის, მახარაძის, საგარეჯოს, ცხაკაიას, წალკის, თელავისა და ზოგი სხვა რაიონების სკოლები, რომელთა აღსაზრდელებმა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს.

მაგრამ იგივე არ ითქმის ქ. ქ. გორზე, ზუგდიდზე და ფოთზე, კასპის, ზუგდიდის, გორის, სამტრედიის, ხობის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ყვარლის, მარნეულის, ქარელის, წალენჯიხის, ლანჩხუთის აჭარისა და აფხაზეთის ზოგ რაიონებზე, სადაც სახალხო განათლების მუშაკები, სკოლის დირექტორები და ქიმიის მასწავლებლები ჯეროვან დაინტერესებას არ იჩენენ საფუძვლიანი ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღების, კლასგარეშე მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობისა და სწავლებაში მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამის შედეგია ის, რომ 31-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ გაიმარჯვა დასახელებული და ზოგი სხვა რაიონებიდან.

ზოგ შემთხვევაში ადგილებზე შექმნილი საორგანიზაციო კო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიტეტები ჯეროვან მომთხოვნელობას არ უყენებენ მოსწავლეებს სათანადო კონტროლის ქვეშ არ ატარებენ სასკოლო, სარაიონო და ზონალურ ოლიმპიადებს, ლიბერალობას იჩენენ მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების დროს და დასკვნით ტურზე გზავნიან დაბალი მომზადების მოსწავლეებს, რომელთა ნაწერები დასკვნით ტურში 50 შესაძლებლობიდან 10 ქულით და ნაკლებით შეფასდა.

ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ქიმიკოსთა 30-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებისათვის დაჯილდოვდეს 136 მოსწავლე, მათ შორის 1-ლი ხარისხის სიგელით 2 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით 44 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით 91 მოსწავლე (სია თან ერთვის).

2. აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის (პროფ. ი. გვერდწითელი), თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის (დოც. ი. ბახტაძე) და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის (პროფ. გ. ცინცაძე) დახმარება ექსპერიმენტული ტურის ჩატარებაში.

3. 1977—1978 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ტურად: სასკოლო, რაიონული ზონალური და რესპუბლიკური (დასკვნითი). სასკოლო ტური ჩატარდეს დეკემბერში, რაიონული — იანვარში, ზონალური — 12 თებერვალს, რესპუბლიკური 12 და 13 მარტს. 12 მარტს ჩატარდეს თეორიული ტური, 13 მარტს — ექსპერიმენტული.

4. ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. **დარჩია მამია დომენტის ძე** — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი, კომიტეტის თავმჯდომარე

2. **ლომსიანიძე ზაქარია აგაბოს ძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

3. **კაპანაძე შოთა გრიგოლის ძე** — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგე, თავმჯდომარის მოადგილე

4. **გაგოშიძე ციცინო გიორგის ასული** — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, კომიტეტის მდივანი

5. **ფაჩუაშვილი მერი ნიკოლოზის ასული** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

6. **მნათობიშვილი ლევან სიმონის ძე** — განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე

7. **ცინცაძე გივი ვასილის ძე** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი

8. **უგულავა მიხეილ მელიტონის ძე** — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

9. **ადამია სერგო ვარლამის ძე** — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

10. **ვაჩნაძე ელენე სიკოს ასული** — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

11. **თალაკვაძე გერმანე ნესტორის ძე** — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

12. **კემულარია ჟუჟუნა ლავრენტის ასული** — ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი

13. **ბახტაძე ირინე გიორგის ასული** — ქიმიის მეცნიერებათა კანდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, კათედრის გამგე.

14. **ჭირაქაძე გიორგი გიორგის ძე** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის დოცენტი.
15. **დემეტრაძე ქეთევან ნიკოლოზის ასული** — პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი
16. **კიკვიძე ბესარიონ იასონის ძე** — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
17. **ხურცილავა თენგიზ ნესტორის ძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
18. **ფაჩუაშვილი ტატიანა მიხეილის ასული** — ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტი
19. **ეფიმოვა გალინა ივანეს ასული** — თბილისის 33-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
20. **უნგიაძე კლარა თეოფანეს ასული** — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე, მასწავლებელი
21. **ტუსკია ქეთევან ირაკლის ასული** — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
22. **ინაშვილი ლილი გიორგის ასული** — თბილისის 54-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
23. **გოდერძიშვილი მერი ილიას ასული** — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი
24. **კაჭახიძე ვენერა ვასილის ასული** — თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.
25. **ჩალაგაშვილი ნათელა პავლეს ასული** — თბილისის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

5. ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

6. ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში;

ბ) პერიოდულად მოიწვიოს კომიტეტის სხდომები და მოისმინოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხები, დასახოს ქმედითი ღონისძიებები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ნორჩ ქიმიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები განიხილონ ქიმიის მასწავლებელთა სექციის სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებები საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) უზრუნველყონ 31-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა. ამ მიზნით ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას; სკოლებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებში ჩამოაყალიბონ ნორჩ ქიმიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები, რომლებიც სისტემატურად ჩაატარებენ ვარჯიშს საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნაზე.

8. რვაწლიანი და საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებლებმა შეარჩიონ ქიმიით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი რთული თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნაზე, მიაჩვიონ ბავშვები დამოუკიდებელ მუშაობას.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) 1978 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) მასწავლებელთა დახე-

ლოვნების ინსტიტუტის 1978 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

11. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძემ) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება

მინისტრი **თ. ქინქლაძე**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის 1977 წ. 27 ოქტომბრის
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

1. ნორჩ ქიმიკოსთა 31-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბაზაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა ქიმიაში, გამოავლინოს ნიჭიერი და საგნით დაინტერესებული მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლას ქიმიის სწავლების დონის ამაღლებაში.

3. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საღამოს (ცვლის) სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების მე-8, 9, 10 (X) კლასების მოსწავლეებსა და აღსაზრდელებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;

ბ) ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთაც ამტკიცებენ ზონის ცენტრის განათლების განყოფილებები. ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში შეყვანილ უნდა იქნენ ზონაში შემავალი რაიონების (ქალაქების) წარმომადგენლები;

გ) რაიონული (საქალაქო), საორგანიზაციო კომიტეტები, რომელსაც ამტკიცებენ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები;

დ) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთაც ამტკიცებენ სკოლის დირექტორები.

5. რესპუბლიკური და ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები ქმნიან ჟიურის. ჟიური ადგენს ამოცანებს, ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და გამოყოფს გამარჯვებულებს.

6. რესპუბლიკური, ზონალური, რაიონული (საქალაქო) და სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებისათვის აწყობენ მეცნიერ-მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და ატარებენ პრაქტიკულ ვარჯიშებს საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნაზე.

7. ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადა ტარდება ოთხ ტურად: პირველი — სასკოლო, მეორე — რაიონული (საქალაქო), მესამე — ზონალური და მეოთხე — რესპუბლიკური. ოთხივე ტური დასწრებულია.

პირველი ტური ტარდება სკოლაში, მეორე — რაიონის (ქალაქის) ცენტრში, მესამე — ზონის ცენტრში, მეოთხე — ქ. თბილისში.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 28 ზონად. ზონის ცენტრებად შერჩეულია:

1. **ქ. თბილისი** — ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის
2. **ქ. სოხუმი** — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
3. **ქ. ბათუმი** — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
4. **ქ. ცხინვალი** — სამხრეთ ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეებისათვის
5. **ქ. რუსთავი** — ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის,
6. **ქ. ქუთაისი** — ქ. ქუთაისის, წყალტუბოს, ტყიბულის, მაიაკოვსკის — რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. **ქ. სამტრედია** — სამტრედიის, ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
8. **ქ. ზესტაფონი** ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
9. **ქ. ფოთი** — ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის
10. **ქ. ცხაკაია** — ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის რაიონების მოსწავლეებისათვის

11. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

12. ქ. ჭიათურა — ქ. ჭიათურის და საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

13. ქ. გორი — ქ. გორის და გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

14. ქ. მცხეთა — მცხეთის, კასპის, დუშეთის, რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

15. ქ. ახალციხე — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

16. ქ. ახალქალაქი — ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

17. ქ. ბოლნისი — ბოლნისის, დმანისის და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

18. ქ. თეთრიწყარო — თეთრიწყაროს და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

19. ქ. თელავი — თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

20. ქ. გურჯაანი — გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

21. ქ. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

22. ქ. ამბროლაური — ამბროლაურის და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

23. ქ. მესტია — მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

24. ქ. ცაგერი — ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

25. ლენტეხი — ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

26. ყაზბეგი — ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. თიანეთი — თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

28. თბილისი — რკინიგზის სკოლებისათვის

8. სასკოლო ტური ტარდება დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) იანვარში, ზონალური — 12 თებერვალს, რესპუბლიკური 12 და 13 მარტს, სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ოლიმპიადების ზუსტ თარიღს ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

9. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ამოცანებს ადგენს შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტი, სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურების მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ გაანგარიშებითი და თვისებითი ხასიათის ხუთ-ხუთი ამოცანა. დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით, სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 12 ფურცლიანი რვეული.

ზონალური ტურისათვის ამოცანებს დალუქული პაკეტით საორგანიზაციო კომიტეტი მიიღებს ფოსტით ან სპეციალურად მივლინებული პირის საშუალებით.

დალუქულ პაკეტს ამოცანებით აუდიტორიაში მოსწავლეების თანდასწრებით ხსნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

10. მოსწავლეთა ნამუშევრებს იბარებს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც იმავე ან მეორე დღეს ასწორებს მათ; ცნობებს იმის შესახებ თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას მათი ნამუშევრების თანდართვით უგზავნის შემდგომი ეტაპის საორგანიზაციო კომიტეტს ტურის ჩატარების მეორე დღეს.

11. ამოხსნილი ამოცანების შეფასება ხდება ქულებით, თითოეული ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი ქულით. ამოცანის ამოხსნაში არაარსებითი ხასიათის შეცდომების დაშვების შემთხვევაში იწერება ერთი ქულა, ხოლო არასწორი ამოხსნისათვის მოსწავლეს ნული ქულა ეწერება. შეფასება იწერება თითოეული ამოხსნილი ამოცანის ბოლოს. აუცილებელია ყველა შეცდომის აღნიშვნა. სამუშაოს ბოლოში კომისია წერს ქულათა საერთო რაოდენობას და აწერს ხელს.

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებიც 10 შესაძლებლობიდან მოაგროვებენ 6 და მეტ ქულას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. წარმოდგენილი ნამუშევრების გადამოწმების შემდეგ დასკვნით ტურზე დასაშვებ მოსწავლეთა სიას კლასების მიხედვით საზღვრავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და ამის შესახებ დროულად აცნობებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

13. დასკვნითი ტური ჩატარდება ორ ეტაპად — 12 მარტს — თეორიული, 13 მარტს — ექსპერიმენტული, თეორიულ ტურში მოსწავლეებს მიეცემათ — 5-5 თეორიული ხასიათის გაანგარიშებითი ამოცანა. დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით.

თეორიული ტურის ჩატარების შემდეგ, იმავე დღეს სწორდება მოსწავლეთა ნამუშევრები და ვლინდება გამარჯვებულები.

ექსპერიმენტულ ტურზე დაიშვებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც ქულათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს დააგროვებენ.

14. ექსპერიმენტულ ტურზე მოსწავლეებს მიეცემათ თითო ამოცანა. მოსწავლემ პრაქტიკულად უნდა შეასრულოს დავალება და გააკეთოს სათანადო ჩანაწერები მის მიერ ჩატარებული ცდის შესახებ. შესასრულებლად მათ ეძლევათ 3 ასტრონომიული საათი.

15. საორგანიზაციო კომიტეტი ასწორებს ნამუშევრებს, აძლევს შეფასებას და გამოიყვანს ქულათა საერთო ჯამს თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით.

16. სია ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად წარედგინება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. III ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც 12 შესაძლებლობიდან დააგროვებენ 7-8 ქულას, II ხარისხის დიპლომით — 9-10 ქულას, I ხარისხის დიპლომით — 11-12 ქულას.

ჯილდოების გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამარჯვებულთაგან შეარჩევს მოსწავლეებს ნორჩ ქიმიკოსთა საკავშირო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აჯილდოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე იმ მასწავლებლებს, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან ნორჩ ქიმიკოსთა წრეებში, პროპაგანდას უწევენ ქიმიურ მეცნიერებას, ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და რომელთა მოსწავლეები მოიპოვებენ წარმატებას ოლიმპიადაში.

ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი

თბილისი — პლეხანოვის გამზირი № 178
მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი

**«УТВЕРЖДЕНО»**
**Постановлением коллегии Министерства просвещения Грузинской ССР**
**от «27» октября 1977 года**

# ПОЛОЖЕНИЕ

## о 31-ой Республиканской олимпиаде юных химиков

1. 31-ую Республиканскую олимпиаду юных химиков проводит Министерство просвещения Грузинской ССР на базе Института усовершенствования учителей, с участием Тбилисского Государственного университета, Грузинского Политехнического института имени В. И. Ленина и Тбилисского педагогического института им. А. С. Пушкина.

2. Олимпиада ставит целью углубить приобретенные в школе знания учащихся по химии, выявить способных и интересующихся химией учащихся помочь школе поднять преподавание химии на должный уровень.

3. В олимпиаде могут принимать участие учащиеся VIII—X (XI) класов общеобразовательных восьмилетних, средних, вечерних (сменных) школ, школ-интернатов и детских домов.

4. Для руководства олимпиадой создаются:

а) Республиканский организационный комитет, который утверждается Министерством просвещения Грузинской ССР;

б) зональные организационные комитеты, которые утверждаются отделом народного образования центра зоны. В состав зонального организационного комитета должны входить представители входящих в зону районов;

в) районные (городские) организационные комитеты, которые утверждаются районным (городским) отделом народного образования;

г) школьный организационный комитет, который утверждается директором школы.

5. Республиканский и зональные организационные комитеты создают жюри. Жюри составляет тексты задач, проверяет работы участников олимпиады и определяет победителей.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

6. Республиканские, зональные, районные (городские) и школьные организационные комитеты при помощи опытных педагогов и научных работников проводят для учащихся — участников олимпиады — лекции на необходимые для них темы, а также ведут практическую тренировочную работу (решают задачи олимпиадного характера).

7. Олимпиада юных химиков проводится в четыре этапа.

— первый — школьный;
— второй — районный (городской);
— третий — зональный;
— четвертый — республиканский.

Все четыре этапа очные. I. Этап проводится в школе;
II — районный — в центре района (города);
III — зональный — в центре зоны;
IV — республиканский в Тбилиси.

Для проведения занольного тура республика делится на 28 зон. Центрами зон выделены:

1. г. Тбилиси — для учащихся тбилисских школ
2. г. Сухуми — для учащихся школ Абхазской АССР
3. г. Батуми — для учащихся школ Аджарской АССР
4. г. Цхинвали — для учащихся школ Юго-Осетинской Автономной области
5. г. Рустави — для учащихся школ города Рустави и Гардабанского района
6. г. Кутаиси — для учащихся школ городов Кутаиси и Ткибули, Цхалтубского и Маяковского районов
7. г. Самтредиа — для учащихся школ Самтредского Ванского и Цулукидзевского районов;
8. г. Зестафони — для учащихся школ Зестафонского Терджольского районов
9. г. Поти — для учащихся школ г. Поти
10. г. Цхакая — для учащихся школ Цхакаевского, Абашского, Чхороцкуйского и Гегечкорского районов;

11. г. Зугдиди—для учащихся школ города Зугдиди, Зугдидского, Хобского и Цаленджихского районов
12. г. Чиатура — для учащихся школ города Чиатура и Сачхерского района
13. г. Гори — для учащихся школ города Гори, Горийского, Карельского, Хашурского и Боржомского районов
14. Мцхета — для учащихся школ Мцхетского, Каспского и Душетского районов
15. г. Ахалцихе — для учащихся школ Ахалцихского, Адигенского и Аспинздского районов
16. г. Ахалкалаки — для учащихся школ Ахалкалакского и Богдановского районов
17. Болниси — для учащихся школ Болнисского, Дманисского и Марнеульского районов
18. Тетрицкаро—для учащихся школ Тетрицкаройского и Цалкского районов
19. г. Телави — для учащихся школ Телавского, Ахметского и Кварельского районов
20. г. Гурджаани — для учащихся школ Гурджаанского, Сигнахского, Цителцкаройского, Лагодехского и Сагареджойского районов.
21. г. Махарадзе—для учащихся школ Махарадзевского, Ланчхутского и Чохатаурского районов
22. г. Местия — для учащихся школ Местийского района
23. г. Амбролаури — для учащихся школ Амбролаурского и Онского районов
24. г. Цагери — для учащихся школ Цагерского района,
25. Казбеги — для учащихся школ Казбегского района
26. Лентехи — для учащихся школ Лентехского района,
27. Тианети — для учащихся школ Тианетского района,
28. г. Тбилиси — для учащихся железнодорожных школ.

8. Школьные туры проводятся в декабре, районный (го-

родской) — в январе, Зональные — 12 февраля, республиканские 12 и 13 марта.

Точную дату проведения школьного и районного этапов определяет районный отдел народного образования.

9. Задачи для школьного и районного этапов составляют соответствующие организационные комитеты, а для зональных и заключительных этапов — республиканский организационный комитет.

Участникам школьных, районных и зональных этапов будут даны по пять задач расчетного и качественного характера. Время для решения задач — 4 астрономических часа. Для выполнения работы учащимся дается 12 — листовая тетрадь.

Задачи для зонального тура организационный комитет получит в запечатенном пакете по почте или его доставит командированное лицо.

Запечатенный покет вскрывает председатель организационного комитета в присутствии учащихся.

10. Работы учащихся принимает организационный комитет, который в тот же или на следующий день проверяет их. Справка о том, сколько человек приняло участие, список учащихся — победителей с их работами пересылается на второй же день организационному комитету следующего этапа.

11. Решение задач оценивается баллами. За каждый правильный ответ ставится 2 балла. За непольный правильный ответ — 1 балл. За неправильный ответ ставится — «О».

Оценки пишутся в конце каждого ответа. В конце работы пишется итог баллов и расписываются члены комитета. На следующий этап допускаются учащиеся, каторые на предыдущем этапе получили 6 и более баллов.

12. После пересмотра представленных работ республиканский комитет определяет список допущенных на IV этап олимпиады и об этом своевременно сообщает соответствующему районному (городскому) отделу народного образования.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. Заключительный этап проводится в два тура: 12 марта теоретический, а 13 марта — экспериментальный.

В теоретическом туре учащимся будут даны 5 задач теоретического характера, на решение которых отводится 4 астрономических часа.

После проведения теоретического тура, в тот же день, работы проверяются и определяются победители. На экспериментальный тур будут допущены только те учащиеся, которые наберут 50% и более баллов.

14. На экспериментальном туре учащимся будет дана 1 задача. Учащийся должен практически выполнить задание и сделать соответствующую запись по выполнению задания, на это ему дано 3 астрономических часа.

15. Организационный комитет проверяет работы, оценивает их и подводит общий итог теоретического и экспериментального туров.

16. Список победителей олимпиады представляется в Министерство просвещения Грузинской ССР.

Дипломом III степени награждаются те учащиеся, которые из 12 возможных наберут 7-8 баллов, дипломом II степени — 9-10 баллов, дипломом I степени — болле 11-12 баллов.

Награждение дипломами производится в торжественной обстановке.

Республиканский организационный комитет выбирает учащихся из победителей республиканской олимпиады для участия во Всесоюзной олимпиаде юных химиков.

17. Министерство просвещения Грузинской ССР производит награждение тех педагогов, которые ведут большую плодотворную работу в химических кружках, пропагандиру-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ют химическую науку, помогают учащимся овладевать предметом и учащиеся которых с успехом принимают участие в химической олимпиаде.

**ОРГАНИЗАЦИОННЫЙ КОМИТЕТ
ОЛИМПИАДЫ ЮНЫХ ХИМИКОВ**

Тбилиси, проспект Плеханова-178,
Институт усовершенствования
учителей

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

### 1977 წლის 17 ნოემბრის

## დადგენილება

### 1977 წელს სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის 1977 წელს გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი სოფლის სკოლის წინაშე, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილებით დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

1976-77 სასწავლო წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაუმჯობესდა რესპუბლიკის სოფლის სკოლის მატერიალური ბაზა. სოფლად ექსპლოატაციაში შევიდა სასკოლო შენობები 18068 მოსწავლის ადგილით, ნაცვლად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი 17420 ადგილისა. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა შეფი ორგანიზაციების სახსრებით აშენებულია სასკოლო შენობები 5000-მდე მოსწავლის ადგილით და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები — 2000-მდე ბავშვ-ადგილზე. მაგალითად, გურჯაანის რაიონში საინიციატივო ხაზით სამ სოფელს ჩაბარდა რვაწლიანი სკოლები 800-მდე მოსწავლისათვის. ამავე რაიონში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით სკოლებს ჩაუტარდა 45,0 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები. ასევე, გარდაბნის რაიონში ექსპლუატაციაში შევიდა სასკოლო შენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები 976 მოსწავლის ადგილით, ზუგდიდის რაიონში — 340 მოსწავლის ადგილით და სხვ.

რესპუბლიკის რაიონების სკოლებისათვის კაბინეტ-ლაბორატორიების ტექნიკური საშუალებებით შესავსებად ცენტრალიზებული ხაზით მიმდინარე წელს გამოყოფილია 1.797.000 მან. აქედან 283 ათასი მანეთი — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კაბინეტებისათვის.

უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადებას. 1977 წელს სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის საქმის სწავლება დამატებით კიდევ 50 სკოლაში დაინერგა, გაიზარდა საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც სოფლად რჩებიან სამუშაოდ. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ: ზუგდიდის — 88,3%, ახალქალაქის — 82 1,% მარნეულის — 87,2,% მახარაძის — 80%, ხაშურის — 80%, გურჯაანის — 80%, ადიგენის — 75% და სხვა რაიონებს.

რესპუბლიკაში ამაღლდა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის მაჩვენებლები.

როგორც წარმოდგენილი მასალების შეჯამებამ გვიჩვენა, განსაკუთრებით აღსანიშნავია წალენჯიხის, ცხინვალის, გურჯაანის, წითელწყაროს, ხობის, ცხაკაიას, აბაშის, ზუგდიდის, გეგეჭკორისა და ქობულეთის რაიონების კარგი მუშაობა. ამასგან მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით უკეთესი შედეგები აქვთ ზუგდიდისა და ქობულეთის რაიონებს, სადაც მცირეა სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა და წარმატებით სრულდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი. ქობულეთის რაიონში შეფი ორგანიზაციები ერთჯერად უფასოდ კვებავენ პირველი და მოსამზადებელი კლასების მოსწავლეებს, 10375 მოსწავლეს უფასოდ მიეცა სასკოლო სახელმძღვანელოები.

ამასთან, სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების შესახებ რაიონებიდან წარმოდგენილი ცნობების დაჯამებამ გამოავლინა ხარვეზებიც.

მასალები სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე სრულიად არ წარმოუდგენია ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, თეთრიწყაროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის, თიანეთის რაიონებს და აფხაზეთის ასსრ-ს. დაგვიანებითაა მიღებული მასალები თელავის, წალკისა და ლანჩხუთის რაიონებიდან. რიგი რაიონების განათლების განყოფილებები, კომკავშირისა და პროფკავშირის რაიონული კომიტეტები, სოციალისტური შეჯიბრების საქალაქო და რაიონული კომისიები სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევენ სოციალისტურ შეჯიბრებებს, ანალიზს არ უკეთებენ მუშაობის მიმდინარეობას, ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ ვალდებულებათა შესასრულებლად. ამიტომ, მათ მიერ წარმოდგენილი ცნობები არაზუსტია და ფორმები შეცდომითაა შევსებული. ასევე არასრულყოფილი ცნობები წარმოადგინეს სიღნაღის, ახალციხის, ტყიბულის, ამბროლაურის, მცხეთის, ცაგერის, წყალტუბოს, წულუკიძისა და სხვა რაიონებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დამტკიცდეს სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური მუდმივმოქმედი კომისიის 1977 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება 1977 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ცენტრალურ კომისიაში საქართველოს სსრ-დან ზუგდიდისა და ქობულეთის რაიონების წარდგენის შესახებ.

2. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში კარგად იმუშავეს გურჯაანის, ცხინვალის, წალენჯიხისა და ცხაკაიას რაიონებმა.

3. აღინიშნოს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპინძის, ახმეტის, დმანისის, ბოგდანოვკის, თერჯოლის, ზესტაფონისა და თიანეთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების, ალკკ კომიტეტებისა და პროფკავშირის კომიტეტების სუსტი უპასუხისმგებლო მუშაობა.

საქ. სსრ განათლების მინისტრი

ო. დ. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნ. დაწესებ. მუშაკთა პროფკავშირის რესპ. კომიტეტის თავმჯდომარე

დ. გ. იოსელიანი

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

მ. ნ. ფაჩუაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიისა და ცეკავშირის გამგეობის 1977 წლის 21 ნოემბრის

## დადგენილება № 13-32ა-41

№ 13-32ა-41

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 13 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებები და ხარვეზებია. არ აღმოფხვრილა საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მეტისმეტი ჩამორჩენა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაჯდომი ადგილების გადიდების იმ დავალების შესრულება, რომელიც დაწესებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 მარტის № 141 დადგენილებით. მეცხრე ხუთწლედში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა სასკოლო სასადილოებში გაიზარდა 11 ათასი ერთეულით, ნაცვლად დავალებით გათვალისწინებული 20 ათასისა.

1976 წელს ამ ობიექტების დასაჯდომი ადგილების მატების გეგმა 92 პროცენტით შესრულდა. ამჟამად რესპუბლიკის სკოლებში საზოგადოებრივი კვების ობიექტების დასაჯდომი ადგილების რაოდენობა ნორმატივის მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს. 994 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან, სადაც თითოეულის კონტინგენტი 320 მოსწავლეს აღემატება, სასადილოები მხოლოდ 433-ს აქვს, ხოლო 1. 159 სკოლას, ანუ მათი საერთო რაოდენობის 44 პროცენტს, ბუფეტებიც კი არ გააჩნია. ქალაქ თბილისის ყოველ 1.000 მოსწავლეზე მოდის მხოლოდ 59 დასაჯდომი ადგილი, ნაცვლად ნორმატივით გათვალისწინებული 250-სა. აჭარის ასსრ ქალაქებში მხოლოდ 4 სკოლას აქვს სასადილოები, ხოლო სოფლად განლაგებულ 75 სკოლაში, სადაც 18 ათასი მოსწავლეა, საერთოდ არ არის ორგანიზებული მათი კვება. ახალქალაქის რაიონის 63 სკოლიდან 57-ში და ბოგდანოვკის რაიონის 33 სკოლიდან არც ერთში არაა საზოგადოებრივი კვების ობიექტები. ცუდად არის ორგანიზებული მოსწავლეთა კვება ჯავის, მარნეულის, დმანისის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების სკოლებშიც.

თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის ბევრ სკოლაში, რომლებიც უკანასკნელ 6—7 წელიწადში აშენდა, პროექტით გათვალისწინებული სასადილოების ნაცვლად მოწყობილია ბუფეტები; მთელ რიგ შემთხვევაში სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტებისათვის განკუთვნილ სადგომებს სხვა მიზნით იყენებენ. საზოგადოებრივი კვების ბევრი ობიექტი მოთავსებულია შეუფერებელ, ცუდად შერემონტებულ სადგომებში.

საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ძალზე ცუდად არის ორგანიზებული ცხელი კერძებით კვება. მოსწავლეთა უზრუნველყოფა ცხელი საკვებით 10 პროცენტს არ აღემატება. მთელ რიგ სკოლებში ცხელ საკვებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებიც კი არ იღებენ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა და მათი ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებას ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლებში, არ იღებენ ქმედითს ზომებს მოსწავლეთა კვების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო სასადილოებსა დე ბუფეტებში ადგილების რაოდენობა არასაკმარისია, მეტ წილ სკოლებში არ იცავენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წესდებით განსაზღვრულ შესვენებათა ხანგრძლივობას, რის გამოც მოსწავლეები ვერ ასწრებენ ცხელი საკვების მიღებას ხუთწუთიან შესვენებაზე. სკოლებში, რომლებიც ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი სასადილოებისა და ბუფეტების დასაჯდომი ადგილებით, ორგანიზებული არ არის უმცროსკლასელთა კვება უშუალოდ საკლასო ოთახებში.

უყურადღებოდაა მიტოვებული მოსწავლეთა დიეტური კვება. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები არ ეწევიან ჯეროვან მუშაობას მოსწავლეთა ჯანმრთელობის გამოსაკვლევად და იმ ბავშვთა გამოსავლენად, რომლებსაც ესაჭიროებათ დიეტური კვება, ხოლო იქ, სადაც დადგენილია მოსწავლეთა ასეთი კონტინგენტი, დიეტური კვება მათთვის არ არის ორგანიზებული. სკოლებში არადამაკმაყოფილებლად ინერგება მოსწავლეთა კვება აბონემენტების მიხედვით.

მთელ რიგ სასწავლებლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში არ ჰყოფნით სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობა, ინვენტარი და ჭურჭელი, არ იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, დაბალია მომსახურების კულტურა, ირღვევა ვაჭრობის წესები.

ნელა მიმდინარეობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრა სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში. ამ დაწესებულებათა და სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არ იჩენენ ჯეროვან ზრუნვას ბავშვთა კვებისათვის, უშვებენ შეფერხებებს მომარაგებაში და ისეთი მაღალკალორიული კვების პროდუქტების გამოყოფილი ფონდების აუთვისებლობას, როგორიცაა ხორცი, თევზი, ბოსტნეული, ხილი რძე, კვერცხი და სხვ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ზონის სოფ. იმერეთსა და გვიშტიბის საბავშვო ბაგებმა მათი კუთვნილი კვერცხის ფონდების მხოლოდ 25 — 30 პროცენტი მიიღეს, სოფ. მუხიანის საბავშვო ბაღს კვერცხი საერთოდ არ მიუღია. ცაგერის რაიონის სოფ. ლაილაშის საბავშვო ბაღს ფონდებით კუთვნილი რძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ 10 პროცენტი და ბოსტნეულის 8 პროცენტი მიაწოდეს. ამავე პერიოდში გუდაუთის რაიონის სოფ. კალდახვარის სკოლა-ინტერნატს დააკლეს 3,8 ტონა კარტოფილი, 2,7 ტონა ბოსტნეული, 3,3 ტონა ხილი, 700 კილოგრამი თევზი, 8,1 ტონა რძე და 9,6 ათასი ცალი კვერცხი.

ბევრ სკოლაში, აგრეთვე სხვა სასწავლებლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში დაბალია საჭმლის ხარისხი, ამზადებენ ერთფეროვან კერძებს, ამასთან ხშირად ტექნოლოგიისა და განწილვის ნორმების დარღვევით, ნაკლები ყურადღება ეთმობა გაიაფებული კერძების მომზადებას, არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ღონისძიებანი სასკოლო კვების კომბინატებისა და საბაზო სასადილოების ქსელის განვითარებისათვის, რომელთა რაოდენობა მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის სასწავლებლების მოთხოვნილებას. სკოლებში მთლიანად არ არის გამოყენებული ბავშვთა უფასო კვებისათვის გამოყოფილი სახსრები.

რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოები ძალზე არასაკმარისი რაოდენობით უშვებენ დოზირებულ სოსისს, აგრეთვე წვრილად დაფასოებულ მჟავე რძის პროდუქტებს სკოლებთან არსებული საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოსამარაგებლად.

ბევრი სატრანსპორტო საწარმო არადამაკმაყოფილებლად ემსახურება სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებს, მათ მიერ გამოყოფილი ავტოტრანსპორტი არ შეესაბამება ამ სახეობის ტვირთზიდვისათვის წაყენებულ სანიტარულ-ტექნიკურ მოთხოვნებს; კვების პროდუქტები ხშირად სასწავლებლებში დიდი დაგვიანებით მიაქვთ.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ მოსწავლეთა და ბავშვთა კარგად მოგვარებული კვების მნიშვნელობას, არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას სკოლების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ, — რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა და ბავშვთა კვების საჭირო დონეზე დაყენებას. მოსწავლეთა კვების ორგანიზაციისათვის მუშაობაში არ იზიდავენ მშობელთა კომიტეტებს, სასწავლებელთა

პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, უფროსი კლასების მოსწავლეებს.

სერიოზული ნაკლოვანებანი სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციაში იმის შედეგია, რომ სახალხო დეპუტატთა ბევრი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომები ზერელედ, იშვიათად სწავლობენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, ყოველდღიურ კონტროლს არ უწევენ მას, ცუდად იყენებენ სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შესაძლებლობებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასკოლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის გაფართოებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვების ორგანიზაციის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად;

— ახალი სასადილოებისა და ბუფეტების მშენებლობის, არსებულის რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით მიაღწიონ იმას, რომ 1977 წელს ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ცხელი საკვებით უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეთა არანაკლებ 25 პროცენტი, ხოლო სოფლის საშუალო სკოლებში — არანაკლებ 10 პროცენტი, 1978 წელს — შესაბამისად — 40 პროცენტი და 25 პროცენტი, 1979 წელს — 60 პროცენტი და 45 პროცენტი, 1980 წელს — 80 პროცენტი და 60 პროცენტი.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის განვითარების პერსპექტიული გეგმა 1977 — 1980 წლებისათვის, №1 დანართის თანახმად.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი დამტკიცებული გეგმის უცილობლივ შესრულებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ ქუთაისის, ფოთის, რუსთავის ტყიბულისა და წყალტუბოს საქალაქო, ამბროლაურის, ახმეტის, ვანის, გორის, დუშეთის, კასპის, წალენჯიხის, ყვარლის, სიღნაღის, ონის, საგარეჯოს, საჩხერის, თეთრწყაროს, თიანეთის, ხობის, წითელწყაროსა და ჩოხატაურის რაიონული საბჭოების აღმასკომების გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასადილოებისა და ბუფეტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საშეფო დახმარების გამოყენების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ აღმოუჩინოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საჭირო დახმარება და ხელშეწყობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის განვითარებისათვის.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს:

— მიიღონ ქმედითი ზომები მოსწავლეთა და ბავშვთა საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და გამტკიცებისათვის, ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანად ათვისებისათვის. მეხუთე ხუთწლედში სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების დასაჯდომი ადგილებისა და ფართობის გადიდების დაწესებულ დავალებათა უცილობლივ შესრულებისათვის, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყონ 1980 წლის დამლევს მათი რაოდენობის გადიდება ნორმატივებამდე;

— კატეგორიულად აუკრძალონ სკოლების ხელმძღვანელებს სასადილოებისა და ბუფეტების სადგომების გამოყენება სხვა მიზნებისათვის; უახლოეს ხანში გაათავისუფლონ სასკოლო შენობებში არადანიშნულებისამებრ დაკავებული სადგომები, რომლებიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყვანონ საზოგადოებრივი კვების ობიექტები ჯეროვან სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობაში, დროულად ჩაატარონ საწარმოო და სავაჭრო სადგომების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი;

— დააწესონ მკაცრი კონტროლი მოსწავლეთა და ბავშვთა კვების ორგანიზაციის მდგომარეობისადმი, დროულად მიიღონ საჭირო ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; გაუწიონ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანოებს პრაქტიკული დახმარება სასკოლო დაწესებულებათა საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებაში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ მომსახურების ისეთი პროგრესული ფორმების დანერგვისათვის მუშაობაში, რაც განაპირობებს სასადილოების გამტარუნარიანობის გადიდებას და ბავშვთა მაქსიმალურად უზრუნველყოფას ცხელი საკვებით;

— გადასინჯონ სასწავლებლებში დაწესებული შესვენებათა ხანგრძლივობა და შეუსაბამონ იგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წესდების მოთხოვნებს, რათა მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გამოიყენონ ეს დრო სასადილოებსა და ბუფეტებში კვებისთვის;

— უზრუნველყონ იმ სახსრების დროულად და სრულად გამოყენება, რომლებიც საყოველთაო სწავლების ფონდიდან გამოიყოფა სკოლებში ბავშვთა უფასო და შეღავათიანი კვების ორგანიზაციისათვის; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან სასწავლო-საცდელი ნაკვეთების შესაქმნელად, იმ ვარაუდით, რომ აღნიშნულ ნაკვეთებზე მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია გამოიყენონ მოსწავლეთა კვების გაიაფებისათვის;

— გადაჭრით გააძლიერონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისადმი, მკაცრი პასუხი მოსთხოვონ მათ ამ საქმეში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის, ფართოდ მიიზიდონ სასკოლო კვების ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის პედაგოგები, მშობელთა კომიტეტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები: უზრუნველყონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებსა და მშობელთა კრებებზე სასწავლებლებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების

ხელმძღვანელთა ანგარიშების პერიოდული განხილვა მოსწავლეთა კვების გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას:

— მიიღონ საჭირო ზომები სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. უზრუნველყონ ბავშვთა ხარისხოვანი, მრავალფეროვანი და მაღალკალორიული კვება, გააფართოონ ბოსტნეულის, თევზის, ფქვილის, რძისა და დიეტური კერძების ასორტიმენტი: გააძლიერონ საზოგადოებრივი კვების საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საჭმლის ასორტიმენტისა და ხარისხისათვის, მისი მომზადების ტექნოლოგიის განუხრელი დაცვისა და ობიექტების სანიტარული მდგომარეობისათვის;

— შექმნან 1977 — 1979 წლების მანძილზე რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში სასკოლო საბაზო სასადილოები, იმ ვარაუდით, რომ თითოეული მათგანი ემსახურებოდეს 12 — 15 სკოლას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყოს ქალაქ თბილისსა და რუსთავში მშენებარე სასკოლო კვების კომბინატების საექსპლუატაციოდ გადაცემა არაუგვიანეს 1977 წლის 20 დეკემბრისა;

— განუწყვეტლივ აამაღლონ მოსწავლეთა მომსახურების კულტურა, უფრო ფართოდ დანერგონ კომპლექსური სადილების გაყიდვა, სადილების გაცემა აბონემენტების მიხედვით; გადაჭრით აღკვეთონ ვაჭრობის წესების დარღვევის, მოსწავლეთა ანგარიშსა და წონაში მოტყუების ფაქტები;

— დააკომპლექტონ სასკოლო დაწესებულებათა სასადილოები და ბუფეტები სავაჭრო-ტექნოლოგიური, სამაცივრო და სხვა მოწყობილობით, № 2 და № 3 დანართების თანახმად;

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1977 წლის 20 მაისს ერთობლივად განიხილეს ქალაქ თბილისის ზოგად-

საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის მდგომარეობა და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების პირველ რიგში და შეუფერხებლად მომარაგება ხორცითა და ხორცპროდუქტებით, ახალი ბოსტნეულით, ხილითა და სხვა ფართო ასორტიმენტის კვების პროდუქტებით; არ დაუშვან სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებში ნორმებით ბავშვთათვის გათვალისწინებული კვების პროდუქტების შეცვლა ძვირადღირებული პროდუქტებით და ამასთან დაკავშირებით საკვების ულუფის ღირებულების გადიდება.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ არ დაუშვან საშუალო და რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა საექსპლუატაციოდ მიღება, თუ დამთავრებული არაა მშენებლობა და მოწყობილი არაა მათში სასკოლო სასადილოები და ბუფეტები.

საქართველოს სსრ სახმშენმა დააწესოს მკაცრი კონტროლი იმისათვის, რათა საშუალო და რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა საექსპლუატაციოდ გადაცემასთან ერთად ამოქმედდეს მათი საზოგადოებრივი კვების ობიექტები.

8. ცეკავშირის გამგეობამ უახლოეს ხანში შეიმუშაოს და შემოიღოს სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტებისათვის კერძების, ცივი საუზმის, ცხელი სასმელების, ფქვილის, საკონდიტრო ნაწარმის ფასის მუდმივმოქმედი პრეისკურანტები.

9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1977 წელს ქალაქ თბილისში, ქუთაისსა და გაგრაში, ხოლო 1978 — 1979 წლებში — ქალაქ ბათუმში, რუსთავსა და სოხუმში 50-გრამიანი პურის ფუნთუშების გამოშვება იმ ოდენობით, რაც საჭიროა სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

10 საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ:

ივერიელი

— უზრუნველყოს, რომ მიაწოდოს 1977 — 1978 წლებში სავაჭრო ორგანიზაციებს დოზირებული სოსისი, წვრილად დაფასოებული რძე და მჟავე რძის პროდუქცია სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტებისათვის, № 4 დანართის თანახმად, ამასთან გაადიდოს 1979 — 1980 წლებში აღნიშნული პროდუქციის მიწოდება მოსწავლეთა კონტინგენტისა და მასზე მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად;

—მიიღოს ზომები დოზირებული სოსისის, წვრილად დაფასოებული რძისა და მჟავე რძის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის საჭირო მოწყობილობით ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა აღჭურვისათვის, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოს 1979—1980 წლებისთვის ამ დაფასოებული პროდუქციით ქალაქ ფოთის, ზესტაფონის, ხაშურის, ახალციხის, ჭიათურის, ცხაკაიას, აგრეთვე შესაძლებლობის კვალობაზე — რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მომარაგება.

ეთხოვოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გამოუყოს 1977 — 1980 წლებში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დოზირებული სოსისის, დაფასოებული რძისა და მჟავე რძის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის საჭირო მოწყობილობა.

11 . მოსწავლეთა და ბავშვთა კვების ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის კოორდინაციის მიზნით რჩევა მიეცეთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შექმნან 1977 წლის ბოლომდე საზოგადოებრივ საწყისებზე რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში საბჭოები სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის თავჯდომარის მოადგილის, აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის, კომკავშირის საქალაქო (რაიონული) კომიტეტის მდივნის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო (რაიონული) კომიტეტის თავჯდომარისა და სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელის შემადგენლობით.

12 . მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოში სასკოლო კვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სექტორი სამი მეთოდისტის შემადგენლობით, აგრეთვე მოღებულ იქნეს სასკოლო კვების მეთოდისტის თითო თანამდებობა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებში და სახალხო განათლების ყველა განყოფილებაში საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებებისათვის დამტკიცებული მმართველობის აპარატის საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს კვების პროდუქტების დროულად და შეუფერხებლად მიტანა სპეციალიზებული ავტოტრანსპორტით სასკოლო დაწესებულებებში, ამასთან გამოუყოს ავტოტრანსპორტი სკოლებს მიკრორაიონების მიხედვით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უახლოეს ხანში ერთობლივად შეიმუშაონ და დაამტკიცონ სკოლებისათვის ავტოტრანსპორტის გამოყოფის სქემა და კვების პროდუქტების შეზიდვის გრაფიკი.

14. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა სწორად კვებისადმი, ამ დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისადმი; განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი იმ ბავშვთა გამოსავლენად, რომელთაც დიეტური კვება ესაჭიროებათ, და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად მიაღწიოს სასკოლო დაწესებულებებში ასეთი კვების ორგანიზაციას.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვთა და მოსწავლეთა კვების მდგომარეობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში, პერიოდულად გააშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონ ამასთან დაკავშირებული საკითხები პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

16. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის აპრილში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგია და ცეკავშირის გამგეობა ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 ოქტომბრის № 703 დადგენილება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლებისა და ვაჭრობის სამინისტროებს, აფხაზსოიუზის და აჭარკოოპკავშირის გამგეობებს, ს/ოსეთის ა/ოლქის ვაჭრობის განყოფილებას, ს/ოსეთის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 ოქტომბრის № 703 დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" — დროულად და ხარისხიანად შესრულება;

ბ) დასახელებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ ანგარიში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას თანდართული ფორმის მიხედვით, ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არაუგვიანეს მომდევნო წლის 15 იანვრისა (დანართი № 1);

გ) შეარჩიონ სკოლები, რომელთა სააქტო დარბაზები გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენებულ იქნება მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისათვის, დააწესონ ამ სკოლებზე განსაკუთრებული კონტროლი იმ მიზნით, რომ დარბაზებში სანიმუშოდ იქნეს დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ყველა საჭირო შემთხვევაში ფართობი გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ სააქტო დარბაზებად.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ა. თ. კვაჭაძე) 10 დღის ვადაში მოამზადოს და წარმოადგინოს ბრძანების პროექტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 ოქტომბრის № 703 დადგენილების მე-12 მუხლის შესასრულებლად.

4.გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (რედაქტორი ნ. დ. შველიძე) სისტემატიურად გამოაქვეყნოს მასალები მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების მდგომარეობისა და სასკოლო სასადილოების დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (უფროსი გ. ვ. ფანჩულიძე), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (უფროსი თ. ა. ნიკოლაიშვილი), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი გ. კ. აბდუშელიშვილი), საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველომ (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ლეკვეიშვილი), ცეკავშირის გამგეობის საზოგადოებრივი კვების სამმართველომ (უფროსი ა. კვიციანი) 1978 წლის 25 იანვრამდე შეარჩიონ და ადგილზე მიავლინონ პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 13 ოქტომბრის № 703 დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" ფართო პროპაგანდისათვის, რომლებიც სათანადო განმარტებებს მისცემენ სახალხო დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების აღმასკომებსა და სახალხო განათლების განყოფილებებს, პრაქტიკულ დახმარებას აღმოუჩენენ პერსპექტიული გეგმების შედგენის საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. დ. ქინქლაძე

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი
მ. ა. მეგრელიშვილი

ცეკავშირის გამგეობის თავჯდომარე
კ. ნ. შავიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

### 1977 წლის 22 ნოემბრის

## ბრძანება № 797

### უცხოური ენების სწავლების თანაფარდობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადგილი აქვს უცხოური ენების სწავლების თანაფარდობის დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევებს; ასე მაგალითად, ინგლისურ ენას სწავლობს ქ. თბილისის მოსწავლეთა 56%, გერმანულს — 29%, ფრანგულს — 14%, ხოლო ესპანურს — 1%.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ:

— გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი სკოლებში უცხოური ენების სწავლების დადგენილი თანაფარდობის აღდგენის უზრუნველსაყოფად;

— უზრუნველყოს, რათა მოსწავლეთა სკოლაში მიღებისთანავე ცნობილი იყოს ამა თუ იმ უცხოური ენის სწავლების შემოღების საკითხი და ამ მიზნით სისტემატიური, თანმიმდევრული ახსნა-განმარტებითი მუშაობა ტარდებოდეს როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან;

— უცხოური ენების სწავლების თანაფარდობის მოწესრიგების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ სკოლების მოსწავლეთა სამუშაოთი უზრუნველყოფას, რომლებშიც ეს თუ ის ენა გახდება სალიკვიდაციო.

2. დადგინდეს, რომ ქ. თბილისის ამა თუ იმ სკოლაში უცხოური ენის სწავლების საკითხს, დაწესებული თანაფარდობის მიხედვით, წყვეტს ქ. თბილისის განათლების განყოფილება.

3. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძემ) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

## 1977 წლის 28 ნოემბრის

## ბრძანება № 810

## ერთი სკოლიდან მეორეში მოსწავლეთა უსაფუძვლო გადაყვანის შესახებ

განათლების სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაცია იმაზე მეტყველებს, რომ შეიმჩნევა არაჯანსაღი ტენდენცია მოსწავლეთა, განსაკუთრებით დამამთავრებელ კლასელთა უსაფუძვლო, გაუმართლებელი გადასვლისა ერთი სკოლიდან მეორეში. სჭარბობს მეათეკლასელთა სკოლებიდან საღამოს სკოლებში გადასვლის შემთხვევები.

ასეთი გადასვლები უფრო გახშირდა ამ ბოლო დროს, როცა განათლების სამინისტრო ახორციელებს საფუძვლიან ღონისძიებებს მოსწავლეთა შეფასების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სახალხო განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ცალკეულ შემთხვევაში — განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებიც კი, არ იჩენენ პრინციპულობას, სწორ პედაგოგიურ მიდგომას ამ საკითხების გადაწყვეტისას. უმეტესად, ანგარიში ეწევა მშობელთა კაპრიზს, რომლის საფუძველი მოსწავლეთათვის მაღალი ნიშნების დაუმსახურებელი და იოლი მიღების სურვილია.

ასეთ ფაქტებს უარყოფითი, მავნე გავლენა აქვს აღმზრდელობით პროცესზე, იწვევს მოსწავლეთა დიდი ნაწილის უკმაყოფილებას, რყვნის მათ შეგნებას, აჩვევს სიყალბეს, სიცრუეს.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

კატეგორიულად აიკრძალოს მოსწავლეთა, განსაკუთრებით დამამთავრებელ კლასელთა გადაყვანა ერთი სკოლიდან მეორეში, თუ ამისათვის არ არსებობს ანგარიშგასაწევი პედაგოგიური მოსაზრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა უმოკლეს ვადაში გაასწორონ დაშვებული დარღვევები და შემდგომ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ უზრუნველყონ ამ საკითხთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს მითითებათა ზუსტი შესრულება.

სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. კ. სუჯაშვილი) სკოლების სამმართველოს (ამხ. ე. ქურციკიძე), საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს (ამხ. გ. გუჯეჯიანი) და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოსთან (ამხ. მ. ოჩიგავა) ერთად დააწესოს მკაცრი კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

### 1977 წლის 28 ნოემბრის

### ბრძანება № 811

### ლოგოპედთა კადრების დანიშვნის საქმის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

ლოგოპედთა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ლოგოპედთა კადრების დანიშვნა მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ლოგოპედიური ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე.

როგორც წესი ახლადდანიშნული ლოგოპედი სამუშაოზე დაიშვას მხოლოდ განათლების სამინისტროს სათანადო ბრძანების გამოცემის შემდეგ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ საკითხზე ადრე მიღებული ბრძანებები.

2. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის:

— მოაწესრიგონ ლოგოპედთა თანამდებობებზე კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე; ამასთან, ლოგოპედთა კადრების სამუშაოსათვის შესაფერისობის გადაწყვეტისას, მკაცრად იხელმძღვანელონ არსებული კანონმდებლობით.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 17 ნოემბრის № 788 ბრძანების გათვალისწინებით ლოგოპედთა კადრები დასამტკიცებლად წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 1978 წლის 15 ივლისამდე.

3. ამ ბრძანებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი ამხ. ო. კვირიკაშვილის (ხელმძღვანელი) ამხ. თ. ჩიტაძის, ამხ. თ. მელქაძის, ამხ, რ. რუხაშვილის, ამხ. ე. ნარჩემაშვილის და ამხ. ვ. კეშელავას შემადგენლობით.

სამუშაო ჯგუფმა — განათლების სამინისტროს შესაბამის სამ-

მართველო-განყოფილებებთან და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად 1978 წის 15 ივლისამდე გაანალიზოს ლოგოპედთა კადრების შერჩევისა და განაწილების მდგომარეობა, შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) 1978-79 სასწავლო წლისათვის შეიტანოს სათანადო ცვლილებები სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების საშტატო განრიგებში.

— მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან (ამხ. მ. დარჩია) ერთად 10 დღის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი ლოგოპედთა კადრების გადამზადებასთან დაკავშირებით.

მინისტრი ო. ქინქლაძე

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1977 წლის კომიტეტის პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ნოემბრის დადგენილება

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის (1977 წ.) შედეგებისა და მორიგი ატესტაციის ჩატარების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

1977 წელს ჩატარებულმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციამ ერთგვარად ხელი შეუწყო რესპუბლიკის მასწავლებლობის პროფესიულ დაოსტატებას, მათი შრომის ეფექტურობის ზრდას, სწავლა-აღზრდის ხარისხიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას, პედაგოგიური კადრების განაწილებისა და აღზრდის შემდგომ სრულყოფას, გააუმჯობესა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ეს შედეგია სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და დარგობრივი პროფკავშირის კომიტეტების მუშაობისა, პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების უშუალო მონაწილეობით. რესპუბლიკური საატესტაციო კომისიის, სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა 1975-1976 წლების ატესტაციის შედეგების შესახებ“.

რესპუბლიკაში 1977 წელს ატესტაცია უნდა გაევლო 15546 მასწავლებელს. — დებულებების შესაბამისად მორიგ ატესტაციაში არ იყო ჩაბმული 3172 მასწავლებელი, მათ შორის 1386 ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელთაც არ შესრულებიათ მუშაობის სამი წლის სტაჟი; 660 მასწავლებელი, რომლებიც მოცემულ სკოლაში მუშაობენ ერთ წელზე ნაკლები დროით; 806 ორსული ქალი და ერთ წლამდე ბავშვის დედა; 234 მასწავლებელი, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობაზე იმყოფებიან; განსაზღვრული ვადით სკოლაში სამუშაოდ მოწვეული პენსიონერი მასწავლებელი — 85. ამრიგად, ატესტაცია გაიარა 11726 მასწავლებელმა, ანუ რესპუბლიკაში მომუშავე მასწავლებელთა 15,9 პროცენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატესტაციის შედეგების მიხედვით საატესტაციო კომისიის მიერ ცნობილ იქნა დაკავებულ თანამდებობისათვის შესაფერისად 9242 მასწავლებელი, მათგან წახალისებას იმსახურებს — 1588.

23 საუკეთესო მასწავლებელს, რომლებმაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს, მიენიჭა „უფროსი მასწავლებლის“, ხოლო 8-ს „მასწავლებელ-მეთოდისტის“ წოდება.

ატესტაციის მიმდინარეობისას ერთგვარად გააქტიურდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მუშაობა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების, გავრცელებისა და დანერგვის საქმეში.

ბევრ სკოლაში ამაღლდა შიდასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი: სკოლების ხელმძღვანელები უფრო ღრმად სწავლობენ მასწავლებელთა საქმიანობას, ქმნიან მათი შრომის ეფექტიანობისათვის აუცილებელ პირობებს.

1977 წლის ატესტაციამ გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებები, ხარვეზები და შეცდომები, რომლითაც ხასიათდება რესპუბლიკური საატესტაციო კომისიის, სახალხო განათლებისა და დარგობრივი პროფკავშირის ადგილობრივი ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელების, პედაგოგიური კოლექტივებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ატესტაციის ორგანიზაციასა და მის ჩატარებაში.

სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლების ხელმძღვანელები, პროფკავშირის კომიტეტები არასაკმარისად მუშაობენ რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან, არ უქმნიან მათ სათანადო პირობებს რეკომენდაციის გამოსასწორებლად, ხოლო სახალხო განათლების განყოფილებებთან არსებული მეთოდური კაბინეტების დიდ ნაწილს არა აქვს შედგენილი რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან კონკრეტული მუშაობის გეგმები.

სუსტია კონტაქტები უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებთან რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმის განსახორციელებლად.

ნაკლებად გამოიყენება — „მეთოდისტ-მასწავლებლებისა“ და უფროსი მასწავლებლების მუშაობის გამოცდილება პრესის, პედაგოგიური კითხვის, ლექციების, თეორიული სემინარებისა და სხვა საშუალებებით.

პედაგოგიური კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ცალკეული სასკოლო კოლექტივები არ მუშაობენ პედაგოგთა თეორიული, პედაგოგიური და მეთოდური დონის ამაღლებისათვის, ჩამორჩებიან სკოლის თანამედროვე ძირითად ამოცანებს. ვერ აკმაყოფილებენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სკოლის მოთხოვნილებებს.

ამიტომ თანამდებობისათვის შეუფერებლად ცნობილი იქნა 50 მასწავლებელი, ატესტაციის გავლამდე საკუთარი ინიციატივით პედაგოგიური სამუშაო დატოვა 648 მასწავლებელმა. ატესტაციაგავლილ მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან სათანადო რეკომენდაციების შესრულების პირობით დატოვებულ იქნა 2434 მასწავლებელი.

ზოგიერთ სკოლაში ატესტაციამ გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი შიდასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში, კერძოდ, სკოლის დირექტორისა და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მისი მოადგილის კოლექტივისადმი სუსტი ხელმძღვანელობა.

მრავალ შემთხვევაში სკოლების მიერ მიცემული დასკვნები და წინადადებანი მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებისას არ შესაბამებოდა მათ დახასიათებებს, რის გამოც მუშა ჯგუფებს მათში შეჰქონდათ დამატებები და შესწორებები, რის შესახებაც აღნიშნული იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1977 წლის 15 აგვისტოს დადგენილებაში“ 1977 წლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შესახებ“.

მუშა ჯგუფები არ დაეთანხმნენ სკოლების წინადადებებსა და დასკვნებს 294 მასწავლებლის საატესტაციო შეფასებისას. ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მუშა ჯგუფმა შეცვალა ნინიგორის საშუალო სკოლის მასწავლებლის შ. რეხვიაშვილის შეფასება „შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის შესრულების პირობით“ და მისცა მას შეფასება „არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას“.

ახმეტის პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი მ. სოლოლაშვილ სკოლამ წარადგინა წახალისებაზე, ხოლო რაიონის მუშა ჯგუფმა ის დატოვა პედაგოგიურ სამუშაოზე რეკომენდაციით. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სხვა რაიონებშიც.

რესპუბლიკური საატესტაციო კომისია 91 შემთხვევაში არ დაეთანხმა მუშა ჯგუფის დასკვნებს. მათ შორის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიამ არ დაამტკიცა წითელწყაროს რაიონის მუშა ჯგუფის დასკვნა მასწავლებელ ც. მჭედლიშვილისათვის „უფროსი მასწავლებლის“ წოდების მინიჭების შესახებ.

ხშირად მასწავლებლის მუშაობის ობიექტური შემოწმების, საქმიანი დახასიათებებისა და პროფესიული ხარისხის შეფასების ნაცვლად, ადგილი აქვს ერთის მხრივ სუბიექტივიზმს, ნათლიმამობას, მფარველობას, მეორე მხრივ კი — არაობიექტურობას, ტენდენციურობასა და ამ საკითხისადმი არასაქმიან მიდგომას, რომელიც მრავალ შემთხვევაში გამოწვეულია ურთიერთდამოკიდებულებაში კონფლიქტებით. ზოგჯერ ამა თუ იმ მასწავლებლის ბედი წყდებოდა სკოლის დირექტორის მიერ ერთპიროვნულად, პედაგოგიური საზოგადოების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობის გარეშე.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი თანამდებობისათვის შეუფერებელი პედაგოგი მ. მაისურაძე, კ. საფაროვი (თელავის რაიონი), ს. ქორქოლიანი (ქ. წყალტუბო), ლ. აბესაძე (თბილისი) და სხვ. თვითკრიტიკულად არ უდგება საქმიანობას, თავის პროფესიული მომზადების დონეს, პირად თვისებებს და სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანოებში უსაფუძვლო, სისტემატიური საჩივარ-განცხადებებით, თავშეუკავებელი მოქმედებით, ცილისწამებით ყოველნაირად ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საატესტაციო კომისიებზე, რათა მისთვის სასარგებლოდ შეიცვალოს საატესტაციო კომისიების გადაწყვეტილება.

ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ადგილობრივმა საატესტაციო მუშა-ჯგუფებმა ვერ განახორციელეს საჭირო დახმარება და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებზე, ზერელედ შეისწავლეს ამა თუ იმ მასწავლებლის მუშაობა, არ მისცეს პრინციპული შეფასება მის საქმიანობას, დაუშვეს შეცდომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი „უფროსი მასწავლებლის“ და „მასწავლებელ-მეთოდისტის“ წოდებაზე წარსადგენი კანდიდატურის შერჩევისას.

1977 წლის ატესტაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სერიოზული ნაკლოვანებები, რომლითაც ხასიათდებოდა მასწავლებელთა გადამზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმიანი ორგანიზაცია.

მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არღვევს კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გავლის დადგენილ ვადებს. მარტო თბილისში,, გასული სასწავლო წლის მონაცემებით 2000 მასწავლებელს ბოლო 20 წლის მანძილზე არ გაუვლია კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საფუძვლიანი მუშაობა მართებთ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს, განსაკუთრებით იმ მითითებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 24 ივნისის № 43-მ ცირკულარული წერილით „ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“.

ატესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების ხარვეზები და ნაკლოვანებები ერთგვარად განაპირობა რესპუბლიკური საატესტაციო კომისიის, განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილებების არასათანადო მუშაობამაც. პრაქტიკაში არ დანერგილი ატესტაციის მიმდინარეობის ოპერატიული ინფორმაციის მიღება. პრიმიტიულია ანალიზი იმ მონაცემებისა, რომლებიც ახასიათებენ კურსდამთავრებულებს, ასაკობრივ და განათლების ცენზს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ორგანიზებულად დაიწყო მზადება რესპუბლიკის 16 რაიონსა და ქალაქში მასწავლებელთა ატესტაციის ჩასატარებლად, მოეწყო ზონალური თათბირები სკოლების ხელმძღვანელთა და პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ადგილებზე დაიგზავნა საჭირო მითითებანი და საატესტაციო დოკუმენტაცია, შედგენილია მუშა ჯგუფების სამუშაო გრაფიკები.

მასწავლებელთა ატესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების გაუმჯო-ბესების მიზნით განათლების სამინისტროსთან შეიქმნა ერთი საატესტაციო კომისია, ნაცვლად ადრე არსებული სამისა, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციისათვის — ატესტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საატესტაციო რეკომენდაციების შესასრულებლად მასწავლებლებისათვის სათანადო პირობების შექმნას.

— სრულყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების მთელი მუშაობა, ღრმად გააანალიზონ მისი შედეგები, აამაღლონ ატესტაციის ქმედითობა, როგორც სკკპ 25-ე ყრილობის და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მოთხოვნათა შუქზე მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდისათვის პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალება.

—მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „1975 — 1976 წლებში საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ“ და საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის რეკომენდაციებით.

— გააძლიერონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადება, პირობების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყონ მათი ჩაბმა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში უმაღლესი პოლიტიკური განათლების მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მასწავლებელთა საატესტაციო შეფასების განსაზღვრისას არ დაუშვან ფორმალური მიდგომის ფაქტები: განათლების, სამეცნიერო-თეორიული და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაუსწრებელ სწავლებაში და მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ჩაბმის შესახებ წინადადებების მიცემისას გაითვალისწინონ მასწავლებელთა მუშაობის ხარისხი, ასაკი, ზოგ შემთხვევაში კი ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

— აქტიური პროპაგანდა გაუწიონ „მეთოდისტ-მასწავლებელთა“ და „უფროსი მასწავლებლების“ გამოცდილების განზოგადებას, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციები, პედაგოგიური კითხვა და სხვა.

— რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად მოისმინონ სკოლების ხელმძღვანელთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშები ჩატარებული მუშაობის შესახებ. გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახონ ქმედითი ღონისძიებანი.

2. დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. გ. ფანჩულიძე) სხვა სამმართველო — განყოფილებებთან ერთად სკოლებში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას გაითვალისწინოს, რა როლი შეასრულა ატესტაციამ სკოლის სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საქმეში, აგრეთვე როგორ მიმდინარეობს ატესტაციის შედეგად მიცემული რეკომენდაციების შესრულება და მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

3. რჩევა მიეცეთ სახალხო განათლების განყოფილებებს, არ შეიტანონ წინადადებანი „მეთოდისტ მასწავლებლისა“ და „უფროსი მასწავლებლის“ წოდებების მინიჭების შესახებ იმ დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

4. დაევალოთ გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს (ნ. შველიძე, გ. საჯაია) სისტე-

მატიურად გააშუქონ მასალები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ, შეუქმნან რუბრიკები და მიუძღვნან სპეციალური გვერდები მოწინავე გამოცდილების განზოგადების, რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობის საკითხებს; ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ „მეთოდისტ-მასწავლებელთა“ და „უფროსი მასწავლებლების“ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მიღწეული წარმატებანი.

5. განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა საატესტაციო კომისიამ ღრმად შეისწავლოს და გაანალიზოს ატესტაციის მომზადებისა და მიმდინარეობის საკითხები, სისტემატურად მოისმინოს ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების ინფორმაციები სკოლებში, მუშა ჯგუფებისა და საატესტაციო კომისიებში გაწეული მუშაობის შესახებ.

პრაქტიკული დახმარება გაწიოს ადგილებზე ატესტაციის დებულების შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

6. დაევალოთ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ, ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალისა და თელავის ინსტიტუტებს:

— მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ სახალხო განათლების განყოფილებებთან იმ მასწავლებლებს შორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, რომლებსაც ატესტაციის შედეგად მიცემული აქვთ წინადადება — რეკომენდაციები კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმაში ჩასაბმელად.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველომ და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სწორმოლო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებამ სისტემატურად მოისმინონ სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობისა და პროფკავშირის კომიტეტების თავჯდომარეების ინფორმაციები ატესტაციისათვის მზადების, მისი მიმდინარეობის, აგრეთვე მასწავლებლების მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ამ დადგენილების შესრულებისათვის კონტროლი დაევალოთ სამინისტროს კადრების სამმართველოსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი

ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტის თავმჯდომარე

დ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

**1977 წლის 2 დეკემბრის**

## ბრძანება № 820

## ნორჩ ფიზიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

აღვნიშნავ რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განუხრელადაა დაკავშირებული ფიზიკის, ტექნიკის თეორიული საფუძვლის მძლავრ განვითარებასთან. ეს გარემოება განაპირობებს იმ დიდ ყურადღებას, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ეთმობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მათ შორის განსაკუთრებით, ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების საქმეს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების მაღალ აკადემიურ დონეზე დაყენებისა და ამ საგნის პოპულარიზაციის საქმეს სხვა ღონისძიებებთან ერთად ხელს უწყობს აგრეთვე ნორჩ ფიზიკოსთა ტრადიციული ოლიმპიადები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება.

გასულ, 1976-77 სასწავლო წელს ოცდამეათედ ჩატარდა ნორჩ ფიზიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადების სასკოლო, რაიონული, ზონალური და რესპუბლიკური ტურები, რომლებმაც განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო. მასში ჩაებნენ როგორც საგნით განსაკუთრებულად დაინტერესებული, ასევე ფრიადოსან მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა.

ნორჩ ფიზიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლებიდან წარმოდგენილი იქნა VII-X (XI) კლასების 4418 მოსწავლის ნამუშევარი (რაც 166 მოსწავლით აღემატება წინა წლის მონაწილეთა რაოდენობას), რომელთაგან რესპუბლიკურ დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ იქნა 520 გამარჯვებულის ნამუშევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკურ ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტში ზონებიდან წარმოდგენილ VII-X (XI) კლასების გამარჯვებული მოსწავლეების ნამუშევართა რეცენზირების შედეგად დასკვნით, რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 441 ნორჩმა ფიზიკოსმა, ტურზე გამოცხადდა და მონაწილეობა მიიღო 434-მა მოსწავლემ, აქედან გამარჯვება მოიპოვა მე-7 კლასის 141 მოსწავლიდან 25-მა, მე-8 კლასის 74 მოსწავლიდან 10-მა, მე-9 კლასის 86-დან 11-მა და მე-10 კლასის 133-დან 24 მოსწავლემ.

გამარჯვებული ნორჩი ფიზიკოსებიდან 1-ლი ხარისხის სიგელით დაჯილდოვებული იქნა 14 მოსწავლე; II ხარისხის სიგელით — 30 მოსწავლე; III ხარისხის სიგელით — 26 მოსწავლე.

30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლიდან შეირჩა რესპუბლიკის ნაკრების 12 კანდიდატი და მათთან მოეწყო დამატებითი მეცადინეობანი, რის შედეგადაც ნაკრები 3 მოსწავლის შემადგენლობით მივლინებულ იქნა ქ. ფრუნზეში მე-11 საკავშირო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

საკავშირო ოლიმპიადების შედეგების მიხედვით რესპუბლიკის სამი წარგზავნილი ნორჩი ფიზიკოსიდან ორი დაჯილდოვდა II ხარისხის სიგელით, ხოლო ერთი წამახალისებელი სიგელით.

აღსანიშნავია, რომ ნორჩ ფიზიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის წარმატებით მოემზადნენ და ორგანიზებულად ჩაატარეს როგორც შიდასასკოლო, ასევე ზონალური ტურები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოს, მახარაძისა და ცხაკაიას რაიონების განათლების განყოფილებებმა, სკოლების დირექტორებმა და ფიზიკის მასწავლებლებმა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ნორჩ ფიზიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ტურების ჩატარების პროცესში გამოვლინდა ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ასე მაგალითად, ბოლნისის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ლაგოდეხის წითელწყაროს, ცაგერის, აბაშის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებები, სკოლის ხელმძღვანელები და ფიზიკის მასწავლებლები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას და სისტემატურად ვერ უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფენ ნორჩ ფიზიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადების დასკვნით ტურში მოსწავლეთა მონაწილეობას.

30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი ტურის შედეგებმა ცხადყო, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ჯერ კიდევ ფიზიკის მასწავლებლები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ გამოთვლითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნას, საკონტროლო წესებისა და შიდასასკოლო ოლიმპიადის ჩატარებას.

ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო, რაიონული ზონალური და რესპუბლიკური დასკვნითი ტურების ორგანიზებულად და მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დაჯილდოების სიები (პირველი ხარისხის სიგელით 14 მოსწავლე, მეორე ხარისხის სიგელით 30 და მესამე ხარისხის სიგელით 26 მოსწავლე) დამტკიცდეს.

2. მიმდინარე 1977-1978 სასწავლო წელს ჩატარდეს ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ოთხ ტურად (სასკოლო, რაიონული, ზონალური და რესპუბლიკური). პირველი, სასკოლო ტური ჩატარდეს 1977 წლის 25 დეკემბრამდე, მეორე რაიონული — 1978 წლის 15 იანვარს, მესამე ზონალური — 1978 წლის 26 თებერვალს, ხოლო დასკვნითი, რესპუბლიკური ტური ორ ეტაპად (თეორიული და ექსპერიმენტული) 1978 წლის 19 და 20 მარტს.

3. ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ცინცაძე ნოდარი — პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე

2. ტონია. სერგო — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი — თავჯდომარის მოადგილე

3. ფაჩუაშვილი მერი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

4. თუთბერიძე ჰამლეტი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. მნათობიშვილი ლევანი — ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

6. იმხნელი ალექსანდრე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

7. გურგენიძე ბიგენტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

8. გამცემლიძე გიორგი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული კათედრის გამგე.

9. ხაზარაძე ოთარი — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე;

10. ჩუცკოვი ვასილი — პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი

11. კობახიძე ვალერიანი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

12. ეპიტაშვილი გიორგი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი (საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი)

13. დვალიშვილი სულიკო — ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

14. კობახიძე გრიგოლი — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

15. კიკნაძე ჯემალი — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი,

16. კაციკაძე დარეჯან — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ინსპექტორი

17. დამტკიცდეს ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება (თან ერთვის).

5. დაევალოს ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ბ) დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა და ქალაქები (რაიონები) უზრუნველყოს მეთოდური მასა-ლებით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ფიზიკის მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული სექციების სხდომებზე განიხილონ და დასახონ ღონისძიებანი ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ორგანიზებულად და მაღალ აკადემიურ დონეზე ჩასატარებლად;

ბ) განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის რაიონული ტურის ჩატარებაზე;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, იმ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სადაც დებულების შესაბამისად შექმნილი იქნება ზონალური საორგანიზაციო კომიტეტი, 1977 წლის 25 დეკემბრამდე წარმოადგინონ ცნობა მისი შემადგენლობის შესახებ. აღნიშნული ბრძანება 1977 წლის 20 დეკემბრამდე დაიყვანონ სკოლებამდე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) 1978 წლისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილმა) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1977 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის საწერი ქაღალდი.

9. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძემ და გ. საჯაიამ) დააწესონ თითო პრიზი დასკვნით ტურში თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების საუკეთესო ამოხსნისათვის; პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

10. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესის სამი პრიზი ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკურ ოლიმპია-დაში გამარჯვებულთათვის.

11. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. ნ. ფოფხაძემ სისტემატური კონტროლი დააწესოს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 29 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 29 ნოემბრის დადგენილებით

# ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მონაწილეობით.

## I. ოლიმპიადის ამოცანები

1. ფიზიკისადმი ქალაქისა და სოფლის სკოლების მოსწავლეთა ინტერესის გაძლიერება.
2. ფიზიკის ფაკულტატიური, საწრეო, სექციური, მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობის შედეგების შეჯამება და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ყველა ფორმების აქტივიზაცია.
3. პროფესიის შერჩევაში უფროსკლასელთათვის დახმარების გაწევა.
4. უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა, აგრეთვე, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების სპეციალისტთა მიზიდვა სკოლისადმი აქტიური დახმარებისა და ფიზიკის მეცნიერების პროპაგანდის მიზნით.

## II. ოლიმპიადის ჩატარების წესები

1. ნორჩ ფიზიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდება ოთხ ეტაპად — სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები.

სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტი განისაზღვრება 3 წევრით. კომიტეტს ამტკიცებს სკოლის დირექტორი. რაიონული (საქალაქო)

საორგანიზაციო კომიტეტი განისაზღვრება 5 წევრით. კომიტეტს ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგე.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით. კომიტეტს ამტკიცებს ზონის განათლების განყოფილების გამგე.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 28 ზონად, ზონების ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის;
3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. თბილისი — ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის;
5. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავისა და გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
6. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ტყიბულის აგრეთვე წყალტუბოსა და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. სამტრედია — სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწვლეებისათვის
8. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
9. ქ. ფოთი — ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის
10. ცხაკაია — ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
11. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, აგრეთვე ზუგდიდის, ხობისა და წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
12. ქ. ჭიათურა — ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
13. ქ. გორი — ქ. გორის, აგრეთვე გორის, ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
14. მცხეთა — მცხეთის, კასპისა და დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
15. ახალციხე — ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის,

16. ახალქალაქი — ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

17. თეთრწყარო — თეთრწყაროსა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

18. თელავი — თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

19. გურჯაანი — გურჯაანის, სიღნაღის წითელწყაროს, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის.

20. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

21. მესტია — მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის.

22. ცაგერი — ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის,

23. ლენტეხი — ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

24. ყაზბეგი — ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

25. თიანეთი — თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

26. თბილის — რკინიგზის სკოლების მოსწავლეებისათვის

2. სასკოლო ტური ტარდება 1977 წლის 25 დეკემბრამდე. სასკოლო ტურის ამოცანებს ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება. სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტი 5 დღეში წარმოადგენს გამარჯვებულ მოსწავლეთა სიებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში სარაიონო (საქალაქო) ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის.

სარაიონო (საქალაქო) ოლიმპიადა ტარდება 1978 წლის 15 იანვარს ერთდროულად ყველა კლასისათვის. ტურის ამოცანებს ადგენს რაიონის, (ქალაქის) განათლების განყოფილება. სარაიონო (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი გამარჯვებულ მოსწავლეთა სიებს წარადგენს ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1978 წლის იანვრისათვის ზონალურ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზონალური ოლიმპიადა ტარდება 1978 წლის 26 თებერვალს ერთდროულად ყველა კლასისათვის.

ტურის ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და აგზავნის ზონის ცენტრში დალუქული პაკეტით.

ოლიმპიადის ყველა ეტაპზე ტურის ჩატარების დღეს დალუქულ პაკეტს ამოცანებით ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთა დასწრებით ხსნის ტურის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

ზონალურ ტურში შესრულებულ წერით ნამუშევრებს ტურის დამთავრების შემდეგ ასწორებს საორგანიზაციო კომიტეტი და ცნობებს ტურის შესახებ უგზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს არაუგვიანეს 25 თებერვლისა.

3. ოლიმპიადის ყველა ეტაპზე, დასკვნითი ტურის გარდა, მოსწავლეებს ეძლევათ გამოანგარიშებითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის 5 ამოცანა. ამოხსნილი ამოცანების შეფასება ხდება ქულებით, თითოეული ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა ფასდება 2 ქულით. ამოცანის ამოხსნისას არაარსებითი ხასიათის შეცდომების დაშვების შემთხვევაში — 1 ქულით. ყველა სხვა შემთხვევაში — ნული ქულით. — გამარჯვებულად ჩაითვლებიან მოსწავლეები, რომლებიც მოაგროვებენ ექვს და მეტ ქულას.

4. მეოთხე ეტაპი — რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად. I-თეორიული ტარდება ქ. თბილისში 1978 წლის 19 მარტს, მეორე, ექსპერიმენტული 20 მარტს. რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეთა სიას კლასების მიხედვით საზღვრავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და წინასწარ 10 დღით ადრე, აცნობებს ამის შესახებ შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

5. რესპუბლიკური თეორიული ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს ასწორებს ჟიური და გამოყოფს გამარჯვებულებს ექსპერიმენტულ ტურში მონაწილეობისათვის.

ოლიმპიადის ყველა ეტაპზე ამოცანების ამოხსნისათვის განკუთვნილია 4 ასტრონომიული საათი, ხოლო ექსპერიმენტულ ტურზე — 2 ასტრონომიული საათი.

6. რესპუბლიკურ ოლიმპიადაში 1-ლ, მე-2, მე-3 ადგილზე გა-

მოსული მოსწავლეები ჯილდოვდებიან I, II III ხარისხის სიგელებითა და პრიზებით.

I ხარისხის სიგელით ჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც დასკვნით ეტაპზე ორივე ტურში მოაგროვებენ 11-12 ქულას, II ხარისხის სიგელით 9-10 ქულას, III ხარისხის სიგელით 7-8 ქულას.

ოლიმპიადის დასკვნითი ტურის ყველა მონაწილეს მიეცემა მოწმობა.

ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დააჯილდოებს აგრეთვე ოლიმპიადის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად მონაწილე მასწავლებლებს, ჟიურისა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს.

**ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი**

**ქ. თბილისი აკ. წერეთლის პრ. № 1, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დამტკიცებულია“

საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს 1978 წლის 8 დეკემბრის
კოლეგიის დადგენილებით
ოქმი № 13

# საშუალო და რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულთა ატესტატებისა და მოწმობების დუბლიკატის გაცემის

# წესი

იმ პირებზე, რომლებმაც დაკარგეს საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი ან რვაწლიანი სკოლის მოწმობა, დაკარგულის ნაცვლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დუბლიკატი გაიცემა შემდეგი წესით:

1. განცხადება დაკარგული ატესტატის ან მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ, ატესტატის (მოწმობის) დაკარგვის დამადასტურებელ ცნობასთან ერთად, მოქალაქეს შეაქვს იმ სკოლაში, რომელიც მან დაამთავრა. საკითხის შესწავლის შემდეგ სკოლა აღძრავს შუამდგომლობას შესაბამისი სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების წინაშე.

2. შუამდგომლობას, საჭირო მასალებთან ერთად, უნდა დაერთოს სკოლის ან არქივის ცნობა სწავლის კურსის დამთავრების თარიღის, ნიშნების და დაკარგული ატესტატის ნომრის ჩვენებით.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები ატესტატის (მოწმობის) დუბლიკატის გაცემის შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე, ზემოჩამოთვლილი საბუთების თანდართვით.

4. სკოლების სამმართველო ცალკე საჭირო შემთხვევაში კი შესაბამის სამმართველო-განყოფილებებთან ერთად შეისწავლის წარმოდგენილ მასალებს და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, წინადადებას წარადგენს კოლეგიაზე განსახილველად.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია დუბლიკატის გაცემის საკითხზე იმსჯელებს წელიწადში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაისსა და დეკემბერში. ამასთან, შესაბამისი თვის გაზეთ „სახალ-ხო განათლების“ ბოლო ნომერში ქვეყნდება ცნობა დაკარგული ატესტატის (მოწმობის) ნომრის ჩვენებით.

6. ატესტატის (მოწმობის) დუბლიკატს სკოლების სამმართველო უგზავნის აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებს.

7. სკოლის მიერ შევსებულ, ბეჭედდასმულ და ხელმოწერილ დუბლიკატს მის ზედა მარჯვენა კუთხეში, სადაც გაკეთებულია წარწერა „დუბლიკატი“, ხელის მოწერით ადასტურებს განათლების განყოფილების გამგე.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა :**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც დუბლიკატის გასაცემად წარმოდგენილ საჭირო მასალებს თან ახლავს: ცნობა დაწესებულების მიერ ატესტატის (მოწმობის) დაკარგვის, სტიქიური უბედურების შედეგად მისი განადგურების შესახებ ან სხვა ისეთი დოკუმენტი, რომელიც ატესტატის (მოწმობის) დაკარგვას უეჭველს ხდის, დუბლიკატი შეიძლება გაიცეს სხვა ვადებშიც.

2. ერთსა და იმავე პირზე დუბლიკატი მეორედ არ გაიცემა.

3. გვარის შეცვლის გამო განათლების დოკუმენტი არ შეიცვლება; ასეთ შემთხვევაში განათლების დოკუმენტს თან დაერთვის გვარის შეცვლის დამადასტურებელი ცნობა.

სკოლების სამმართველოს

უფროსი          გ. ფანჩულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«УТВЕРЖДЕНО»

постановлением коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 8 декабря 1977 года, прото- токол № 13.

# ПОРЯДОК

## ВЫДАЧИ ВЫПУСКНИКАМ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ СРЕДНИХ И ВОСЬМИЛЕТНИХ ШКОЛ ДУБЛИКАТОВ АТТЕСТАТОВ О СРЕДНЕМ ОБРАЗОВАНИИ И СВИДЕТЕЛЬСТВ О ВОСЬМИЛЕТНЕМ ОБРАЗОВАНИИ

Лицам, утерявшим аттестат о среднем образовании или свидетельство о восьмилетнем образовании, Министерством просвещения Грузинской ССР выдается дубликат в следующем порядке:

1. Лицо, утерявшее аттестат или свидетельство, вносит в школу оконченную им заявление о выдаче ему дубликата аттестата или свидетельства взамен утерянного вместе с документом, подтверждающим утерю. По изучении вопроса школа возбуждает ходатайство перед соответствующим районным (городским) отделом народного образования.

2. К ходатайству вместе с необходимыми материалами прилагается српавка от школы или из архива с указанием даты окончания курса обучения, оценок и номера утерянного аттестата.

3. Министерства Абхазской и Аджарской АССР, ОНО Юго-Осетинской АО, городские и районные отделы народного образования возбуждают ходатайство о выдаче дубликата аттестата перед Министерством просвещения Грузинской ССР с приложением вышеназванных документов.

4. Управление школ отдельно, а в необходимых случаях, вместе с соответствующими управлениями и отделами изучает представленные материалы и на основании соответствующего заключения ставит вопрос на рассмотрение коллегии.

5. Вопрос о выдаче дубликата коллегия Министерства просвещения Грузинской ССР обсуждает дважды в течение года — в мае и декабре. Вместе с тем в последнем номере газеты «Сахалхо ганатлеба» (соответствующего месяца) помещается справка с указанием номера утерянного аттестата (свидетельства).

6. Дубликат аттестата (свидетельства) Управление школ высылает Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, ОНО Юго-Осетинской АО, городским и районным отделам народного образования.

7. Дубликат, заполненный школой и заверенный подписями и печатью, в верхнем правом углу его, где впечатано слово «Дубликат», заверяется подписью зав. РОНО.

**Примечание:** 1. В случае, когда к материалам, представленным для выдачи дубликата, прилагается справка, подтверждающая утерю аттестата (свидетельства) учреждением, уничтожение его стихийным бедствием, или документ вне всякого сомнения представляющий утерю, дубликат можно выдавать и в другие сроки.

2. Одному и тому же лицу дубликат выдается только один раз.

3. При изменении фамилии документ об образовании не меняется, в таких случаях к документу об образовании прилагается справка, подтверждающая изменение фамилии.

Начальник Управления школ — Г. ПАНЧУЛИДЗЕ

საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

## ქრონიკა

### განათლების ზოგიერთი დოკუმენტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო გაცნობებთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი მოწმობა — ატესტატები გაუქმებულია, როგორც დაკარგული:

1. „საშუალო განათლების ატესტატი“ — ვერცხლის მედლის
   № 002895
2. „საშუალო განათლების ატესტატი“ — ჩვეულებრივი ნიმუშით:
   № 768658; 000559; 598084; 169387; 717897; 109617; 919495;
   № 450639; 279110; 135924; 745230 098918; 694347; 540503.
   № 553078; 347228; 659490; 897410 709338; 886021; 338319.
   № 588075; 671313; 029086; 670106; 721772; 588847; 681861
   № 644219; 213577; 901168; 702954; 792015; 531487; 513245
   № 304966; 186737; 802089; 364975; 461759; 564392; 75239
   № 618403; 161253; 756527; 957501; 176658; 669383; 881848
   № 294979; 583804; 608880; 873639; 865171; 621717; 892571
   № 579070; 624431; 638781; 840132; 698386; 567459; 196092
   № 810249; 021090; 583418; 161716; 275817; 089110.
   № 112332; 755876; 504141; 891219; 826451; 838076.
   № 664943; 502898; 213142; 225519; 586559; 294017.
3. „რვაწლიანი განათლების მოწმობა“:
   № 007551; 256946; 717325; 784245; 272126
   № 223109; 221062; 529923; 272124; 263156.
   № 055174; 164550; 260086; 589701; 859451
4. „7 კლასის დამთავრების მოწმობა“
   № 069390

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 8 დეკემბრის დადგენილება ოქმი № 14

**სკოლების სამმართველოს**

**უფროსი** **გ. ფანჩულიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

### 1977 წლის 13 დეკემბრის

### ბრძანება № 846

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგიერთ დაწესებულებასა და ორგანიზაციებში საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევისა და ფულადი და მატერიალური სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტების შესახებ

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში საფინანსო დისციპლინის გამტკიცებისა და საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით გატარებული რიგი ღონისძიების შედეგად შემცირდა ფულადი და მატერიალური სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რიგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არაერთხელ მიეთითათ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებაზე, მათ მაინც არ გაატარეს საჭირო ზომები ფინანსიური და მატერიალური რესურსების ეკონომიური და ეფექტური გამოყენებისათვის, უკანონო ხარჯების გზების დასახურად; კვლავინდებურად იჩენენ ლიბერალიზმს აღნიშნულ დარღვევებში დამნაშავე პირთა მიმართ და თავიანთი უკონტროლობით ხელს უწყობენ მათ.

რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ბუღალტერიები ჯერ კიდევ ცუდად ახორციელებენ მათზე დაკისრებულ შიდასამეურნეო კონტროლს, არ ღებულობენ სათანადო ზომებს სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტების აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმებების შედეგად რიგ საბიუჯეტო დაწესებულებებში გამოვლენილია ფულადი და მატერიალური სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტები, განსაკუთრებით ხელფასის საქმეში, სადაც ირღვეოდა საშტატო ნორმატივები.

ხაშურის, ყვარლის, ბოლნისის, მცხეთის, გურჯაანის, ახმეტის, წალენჯიხის, თეთრიწყაროსა და სხვა რაიონების რიგ სკოლებსა და საბავშვო სახლებში დაბალია კლასების დატვირთვა, რის შედეგადაც დაშვებულია ზედმეტად დიდი ხარჯები.

ფოთის სკოლა-ინტერნატში ტიპობრივი შტატების ზევით აღმოჩნდა 9 აღმზრდელი და ძიძა, რომლებზედაც გაიცა 22,0 ათასი მანეთი.

სასწავლო კაბინეტების მოწყობილობის შესაძენად ჯავის რაიონის სკოლა-ინტერნატის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსრები დახარჯულ იქნა მოსწავლეთა ექსკურსიებზე.

რბილი ინვენტარის შესაძენად ხარჯების დაგეგმვის დროს არ ითვალისწინებენ მის ფაქტიურ არსებობას; ცალკეული დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვები არ არის გამაგრებული სათანადო ანგარიშებით, არ სრულდება სკოლა-ინტერნატებისა და სანატორიულ-სატყეო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმები. ყოველივე ამის შედეგად კი ასიგნებული სახსრები, კერძოდ კვებაზე, რჩება აუთვისებელი, მაშინ, როცა ბიუჯეტის სხვა მუხლებით მათ მიერ დაშვებულია გადახარჯვები.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიწერების, თვალისახვევის შემთხვევების აღმოფხვრისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ამაღლების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 12 ივლისისა და ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა უკანონო ხარჯვის ფაქტების აღმოფხვრის, მათი ეკონომიური და ეფექტური გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 ნოემბრის № 764 დადგენილების შესასრულებლად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, აგრეთვე განათლების სამინისტროს სისტემის ცალკეულ დაწესებულებათა ყველა დირექტორმა: ა/ განიხილონ სპეციალურ სხდომებზე სახელმწიფოებრივი დისციპლინის მდგომარეობა ფულადი და მა-

ტერიალურ სახსრების ხარჯვის საქმეში, უზრუნველყონ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება უკანონო დანახარჯების დაუშვებლობისა და აღმოფხვრისათვის; ბ) ფულადი და მატერიალური სახსრების უკანონო ხარჯვის ყოველი ფაქტის გარშემო, დადგენილი წესით, გაატარონ ზომები დამნაშავე პირთა მიმართ და აანაზღაურებინონ მათ სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალი; გ) გააძლიერონ ბუღალტერიის მიერ განხორციელებული წინასწარი კონტროლი; სისტემატურად შეამოწმონ პირველადი გასავლის საბუთების კანონიერება; დ) არ დაუშვან ზედმეტი ფულადი და მატერიალური სახსრების გამოყოფა მათი ფაქტიური რაოდენობის გაუთვალისწინებლად, უზრუნველყონ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ხარისხიანი ჩატარება; ე) უზრუნველყონ კაპიტალურ რემონტზე, აგრეთვე ინვენტარის, თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილ ასიგნობათა სრული და მიზნობრივი ათვისება; ვ) ჩაატარონ სკოლებში თვალსაჩინო ხელსაწყოთა და განსაკუთრებით, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა ეფექტური გამოყენების შემოწმება, მათი ზედმეტი რაოდენობის ფაქტების დადგენის შემთხვევაში გადაანაწილონ იმ სკოლებს შორის, რომლებსაც აკლიათ ისინი სათანადო რაოდენობით; ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატებისა და სანატორიულ-სატყეო სკოლების აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას და კვებაზე გამოყოფილი სახსრების გამოყენებას დამტკიცებული ნორმების სრული შესაბამისობით; თ) უზრუნველყონ საშტატო დისციპლინის მკაცრი დაცვა დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად, არ დაუშვან მუშაკთა ზედმეტი რაოდენობით მიღება, ხელფასის უკანონო ხარჯვა, მიწერები სამუშაოთა მოცულობაში და შეთავსების შესახებ მოქმედი დებულებების დარღვევა.

II. მიეთითოთ სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს: ხაშურის — ტ. გ. ლაბაძე, ყვარლის — რ. ბ. შავგულიძე, ბოლნისის — ე. ლ. გობეჯიშვილი, მცხეთის — თ. დ. აბესაძე, გურჯაანის — ვ. ვ. კახაბერი, ახმეტის — დ. ბ. ნაროზაული, წალენჯიხის — ვ. ი. ბელქანია და თეთრიწყაროს — ლ. ე. ჯინჯიხაძე რაიონების და ქ. ფოთის — გ. დ. ხოჭოლავა, რომლებმაც დაუშვეს ზედმეტი დანახარჯები შტატზევით მუშაკთა რაოდენობაში, არადანიშნულე-

ბისამებრ სახსრების გამოყენებაში და სხვა საფინანსო საბიუჯეტო დარღვევები.

III. გაფრთხილებულ იქნან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის ზემო აღნიშნული დარღვევების, ფულადი და მატერიალური სახსრების უკანონო ხარჯვისა და მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა სამუშაოდან განთავისუფლებითა და შესაბამის სგამომძიებლო ორგანოებში საქმის გადაცემით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 8 დეკემბრის დადგენილება

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 846

## ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 декабря 1977 года

## О НАРУШЕНИХ БЮДЖЕТНОЙ ДИСЦИПЛИНЫ, ФАКТАХ НЕЗАКОННОГО РАСХОДОВАНИЯ ДОНЕЖНЫХ И МАТЕРИАЛНЬЫХ СРЕДСТВ В НЕКОТОРЫХ УЧРЕЖДЕНИЯХ И ОРГАНИЗАЦИЯХ СИСТЕМЫ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Отметить, что наряду с тем, что за последние годы, благодаря осуществлению ряда мероприятий по укреплению финансовой дисциплины и улущению бухгалтерского учета, сократились факты незаконного расходования денежных и материальных средств, руководители ряда учреждений и организаций Министерства просвещения ГССР, несмотря на неоднократные указания по наведению государственного порядка в финансово-хозяйственной деятельности, не приняли необходимые меры к экономному и эффактивному использованию финансовых и материальных ресурсов, закрытию каналов незаконных расходов, проявляют либерализм в отношении лиц, являющихся виновными указанных нарушений и отсутствием контроля попустительствуют им.

Бухгалтерии в ряде учреждений и организаций еще плохо осуществляют возложенный на них внутрихозяйственный контроль, не принимают мер к предотвращению фактов незаконного расходования средств.

Ревизиями и проверками, проведенными Министерством финансов Грузинской ССР, выявлены факты незаконного расходования денежных и материальных средств в ряде бюджетных учреждений, в особенности в части заработной платы, где допускались нарушения штатных нормативов.

В ряде школ и детских домов — Хашурского, Кварельского, Болнисского, Мцхетского, Гурджаанского, Ахметского, Цаленджихского, Тетрицкаройского и других районов низ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ка наполняемость классов, в результате чего допущены излишние расходы в крупных размерах.

В Потийской школе-интернате сверх типовых штатов содержалось 9 воспитателеи и нянь, которым выплачено 22,0 тыс. рублей.

Средства, предусмотренные по смете школы-интерната Джавского района на приобретение оборудования для учебных кабинетов израсходованы на экскурсии учащихся.

При планировании расходов на приобретение мягкого инвентаря не учитывается фактическое наличие его, сметы отдельных учреждений неподкрпляются требуемыми расчетами, не выполняются планы контингента учащихся по школам-интернатам, и санаторно-лесным школам, в результате всего этого средства ассигнованные в частности на питание, остаются неосвоенными, в то время, как по другим статьям бюджета допускаются перерасходы.

Во исполнение постановления ЦК КП Грузии от 12 июля 1976 года «Об искоренении фактов приписок, очковтирательства и повышения ответственности руководителей к укреплению государственной дисциплины в народном хозяйстве республики и во исполнение постановления Совета Министров Грузинской ССР от 16 ноября 1977 года за № 764 «Об искоренении фактов незаконного расходования денежных и материальных средств и их экономном и эффективном использовании,

приказываю:

1. Министрам просвещения Абхазской АССР, Аджарской АССР, Зав. отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов Грузинской ССР и всем директорам отдельных учреждений системы Министерства: а) рассмотреть на специальных заседаниях состояние государственной дисциплины в деле расходования денежных и материальных средств, обеспечить осуществление комплексных мероприятий, направленных на предупреждение и изжитие неза-

конных расходов; б) по каждому факту незаконного расходования денежных и материальных средств принимать, в установленном порядке, меры к возмещению виновными лицами причиненного государству материального ущерба; б) усилить предварительный контроль осуществляемый бухгалтерией, систематически проверять законность первичных расходных документов; г) исключить выделение излишних денежных и материальных средств, учитывая их фактическое наличие, обеспечить своевременное и качественное проведение инвентаризации материальных ценностей; д) обеспечить полное и целевое освоение выделенных ассигнований на капитальный ремонт, а также на приобретение инвентаря, наглядных пособий и оборудования; в) провести проверку в школах эффективнюго использования наглядных пособий и в особенности технических средств обучения, в случае установления фактов излишнего их наличия произвести перераспределение среди школ, не имеющих должного количества таковых; к) особое внимание обратить на выполнение плана контингента воспитанников школ-интернатов и санаторно-лесных школ и на использование средств на питание в полном соответствии с утвержденными нормами; з) обеспечить строгое соблюдение штатной дисциплины в соответствии с утвержденными нормативами, не допуская излишнего набора работников и незаконного расходования заработной платы, приписок объемов работы и нарушений действующих положений о совместительстве.

2. Указать Заведующим отделами народного образования: Хашурского — Лабадзе т. г., Квраельского — Шавгулидзе Р. Б., Болнисского — Гобеджишвили Э, Л., Мцхетского — Абесадзе Т. Д., Гурджаанского — Кахабери В. В., Ахметского — Нарозаули Д. Б., Цаленджихского — Белкания В. И. и Тетрицхаройского — Джинджихадзе Л. В. районов и г. Поти — Хочолава Г. Д. допустивших излишние расходы по содержанию сверхштатных работников, использованию

средств не по назначению и др. финансово-бюджетные нарушения.

3. Предупредить руководителей всех учреждений и организаций системы Министерства просвещения ГССР, что в случае допущения вышеуказанных нарушений финансово-бюджетной дисциплины, незаконного расходования денежных и материальных средств и злоупотреблений в подчиненных им учреждениях, они будут нести персональную ответственность, вплоть до увольнения с работы с передачей дел соответствующим следственным органам.

**Основание:** постановление коллегии Министерства просвещения ГССР от 8 декабря 1977 г.

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ

# განათლების სამინისტროს

### 1977 წლის 21 დეკემბრის

### ბრძანება № 864

### სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და განათლების სამინისტროს უწყების დაწესებულებების იურიდიული კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ირკუტსკის ოლქში იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების თაობაზე, მითითებულია სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი სამსახურის როლის მნიშვნელოვნად გაზრდის აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, ამ უკანასკნელი წლების მანძილზე, შესამჩნევად განმტკიცდა სახელმწიფო, საფინანსო და სამეურნეო დისციპლინა. გაუმჯობესდა სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმე, ადგილი არ ჰქონია სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-განიავების არც ერთ შემთხვევას.

ამასთანავე, საგრძნობლად ამაღლდა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა სამართლებრივი ცოდნის დონე. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მხოლოდ ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისა და სკოლა - ინტერნატების 346 - მა დირექტორმა სამუშაოდან მოწყვეტით გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების ორთვიანი კურსები.

ამავე პერიოდში მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა სამუშაოდან მოწყვეტით ერთთვიან კურსებზე გაატარა სახალხო განათლების 800 - მდე ხელმძღვანელი (სასწავლო ნაწილის გამგეები, რვაწლიანი სკოლების დირექტორები, მეთოდკაბინეტის დირექტორები, მუშაკი და სხვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1977 წლის 29 მარტის დადგენილების შესაბამისად კურსებზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სახალხო განათლების მუშაკთა დათხოვნის საკითხებზე, შესაბამისად გაუმჯობესდა მიზნობრივი ლექციების ხარისხი. გაიზარდა სკოლების ხელმძღვანელთათვის შრომის კანონმდებლობის საფუძვლებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა და ა. შ.

განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლში განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ საზოგადოებრივ საწყისებზე მოწყობილმა იურიდიულმა კონსულტაციამ საგრძნობლად გააქტიურა თავისი საქმიანობა.

გაიზარდა განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოსა და სახალხო განათლების ინსპექციის მხრივ მომთხოვნელობა სახალხო განათლების თანამდებობის პირთა მიმართ შრომის კანონმდებლობის განუხრელად დაცვისათვის.

ყველა ზემოხსენებულ ღონისძიებათა შედეგად სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში, შესამჩნევლად იკლო შრომითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებმა, ასევე საგრძნობლად შემცირდა სასამართლო ორგანოებში შრომითი დავის საქმეები.

მიუხედავად ამისა, მუშაობა ამ მიმართულებით არ შეიძლება ყველგან ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, ჩვენი დაწესებულება-ორგანიზაციების საქმიანობა ზოგან, ჯერ კიდევ ნაკლებად უპასუხებს სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ 25-ე ყრილობაზე დაყენებულ მოთხოვნებს.

სამართლებრივი მუშაობის საჭირო დონეზე დაყენებას ადგილებზე ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ისეთ მსხვილ ობიექტებზე, როგორიცაა პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა) ოლქის და ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილებები, სამუშაოდ არ არიან მიზიდულნი იურიდიული განათლების მქონე პირები, შტატებში მათ არ გააჩნიათ იურისტები.

ამავე დროს სკოლებსა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში ყველგან არ გააჩნიათ სახელმძღვანელო ნორმატიული აქტების კრებულები.

სამინისტროში მიღებული განცხადება-საჩივრები და სასა-მართლო ორგანოებში შრომითი საქმეების განხილვის პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ ზოგან ჯერ კიდევ აქვს ადგილი შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებს, რაც იმით აიხსნება, რომ ადგილებზე ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ჯერ კიდევ ნაკლებად ერკვევა შრომის კანონმდებლობის ელემენტარულ მოთხოვნებში.

ასე მაგ. თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ლ. ჯინჯიხაძემ მასწავლებელი ს. ავგაროზიშვილი, მისი თანხმობის გარეშე ს. ლოუბნის რვაწლიანი სკოლიდან გადაიყვანა ს. კოდის საშუალო სკოლაში. ეს დარღვევა განათლების სამინისტროს ჩარევის შემდეგ, დაუყოვნებლივ იქნა გამოსწორებული.

თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. რ. ზარინაძემ სახალხო განათლების საბჭოს დადგენილებით, დაუსწრებლად სამუშაოდან უკანონოდ დაითხოვა თერჯოლის 1-ლი საშუალო სკოლის სამნეო ნაწილის გამგე, სამამულო ომის ინვალიდი ამხ. რ. დოლაკიძე, რომელიც 6 თვის გაჭიანურების შემდეგ აღდგენილ იქნა თავის უფლებებში, ისიც განათლების სამინისტროს მითითებით.

ასევე თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მიერ წარმოდგენილი არასწორი მასალებით უკანონოდ იქნა სამუშაოდან დათხოვნილი განათლების განყოფილების ინსპექტორი მხ. გუგუმბერიძე რ., რომელიც სასამართლოს მიერ აღდგენილია სამუშაოზე განაცდურის ანაზღაურებით.

შრომის კანონმდებლობის დარღვევით, ადგილკომთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ქ. თბილისის მე-60 ბაგა-ბაღის გამგე ჯ. ბერუაშვილმა ძიძა-დამლაგებელი ვ. დვალი ჯერ დაითხოვა, ხოლო ოთხი დღის შემდეგ ო. დვალის დაუსწრებლად ადგილკომს გამოატანინა დადგენილება მის დათხოვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სამინისტროსავე მითითებით ვ. დვალი აგრეთვე აღდგენილია თავის უფლებებში განაცდური ხელფასის ანაზღაურებით. და ა. შ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათელბის მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა დაწესებულება-ორგანიზა-
ციების ხელმძღვანელებმა:

— დააწესონ მკაცრი კონტროლი და პერსონალური პასუხისმგებლობა თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ არღვევენ საბჭოთა კანონმდებლობას მშრომელთა სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ.

შემოწმების შედეგები სისტემატურად მოისმინონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

— მიიღონ ზომები სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულება-ორგანიზაციების ადმინისტრაციული პერსონალის სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

კანონის უხეშად დარღვევის გამო მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება, როგორც წესი, მოხდეს იმ პირთა ხარჯზე, რომელთა ბრძანებით ან წარმოდგენილი მასალების საფუძველზეც მოხდა მუშაკის სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, ამასთან მათვე დაედოს მკაცრი დისციპლინური სასჯელი.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა კიდევ უფრო გააძლიერონ სამართლებრივი მუშაობა. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მითითების შესაბამისად ჩაატარონ სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა, მასწავლებელთა და განათლების ორგანოების მუშაკთათვის ლექციები და მოხსენებები სამართლებრივ საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატის მუშაკთა საკვალიფიკაციო მეცადინეობის თემატიკაში შეტანილ იქნეს ლექციების ციკლი შრომის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლიდან.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებებმა დასვან შესაბამის ორგანოების წინაშე საკითხი, მათ აპარატში იურისკონსულტის შტატების შემოღების შესახებ, ან აუცილებელ შემთხვევაში დაუდონ ხელშეკრულება სათანადო იურიდიულ კონსულტაციას სამართლებრივი მომსახურების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა უახლოეს დროში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, აიყვანოს თავის შტატში სწავლული იურისტი.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) სკოლების სამმართველოსთან ერთად უზრუნველყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოქმედი ნორმატიული აქტების კრებულის გამოცემა.

6. სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. კ. სუჯაშვილი) და კადრების სამმართველომ (ამხ. ო. კვირიკაშვილი) განათლების სამინისტროს სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ უფლებრივი კანონმდებლობის უხეშად დარღვევის ფაქტების გამოვლინებისთანავე მოახსენონ სამინისტროს ხელმძღვანელობას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 8 დეკემბრის დადგენილება (ოქმი № 13).

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1977 წლის 23 დეკემბრის დადგენილება

### 1977 წელს „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის" ერთიანი საკავშირო ნიშნებით რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

1. 1977 წელს „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის" ერთიანი საკავშირო ნიშნების განაწილება ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა) ოლქსა, რესპუბლიკის რაიონებს, ქალაქებს, განათლების სამინისტროს — აპარატსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის დამტკიცდეს (დანართი № 1 და № 2).

2. „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის" ერთიანი საკავშირო ნიშნებით სახალხო განათლების მუშაკთა დაჯილდოებას სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით ახდენენ რაიონების (ქალაქების განათლების განყოფილებები, განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების ადმინისტრაცია და პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტები ერთობლივი გადაწყვეტილებით „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის" ერთიანი ნიშნის შესახებ დებულების შესაბამისად (დებულება თან ერთვის).

3. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა 1977 წელს „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის" სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებელ პირთა სიები წარმოადგენენ განათლების სამინისტროში 1977 წლის 15 დეკემბრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. განათლების სამინისტროსთან არსებულმა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ 1977 წელს „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნები შესაბამისი მოწმობებით დამტკიცებული განაწესის მიხედვით გასცეს 1978 წლის 10 იანვრამდე.

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

**დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დებულება

## 1977 წლის „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ერთიანი საერთო-საკავშირო ნიშნის შესახებ

დანართი

დამტკიცებულია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 აპრილის დადგენილებით, ოქმი № 5, § 12

1. 1977 წლის „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ ერთიანი საერთო-საკავშირო ნიშნით დაჯილდოვდებიან საწარმოების, გაერთიანებების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლები, რომლებმაც მაღალი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისა და წარმოების ეფექტურობისა და შრომის ხარისხისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

2. „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოება სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით ხდება საწარმოს, გაერთიანების მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, როგორც მთელი წლის შედეგებისათვის, ისე წლის განმავლობაში წლიური დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის.

3. „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნის გადაცემა დადგენილი ნიმუშის მოწმობასთან ერთად ხდება მშრომელთა კრებებზე საზეიმო ვითარებაში. დაჯილდოებულის შრომის წიგნაკში შეიტანება სათანადო ჩანაწერი.

4. „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშანი მაგრდება მკერდის მარჯვენა მხარეზე ორდენების ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგადი დებულებანი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ნორჩ ტურისტთა სადგურების შესახებ

1. 1. ნორჩ ტურისტთა სადგურები წარმოადგენენ სახალხო განათლების ორგანოების სკოლისგარეშე დაწესებულებებს, რომელთა ამოცანას შეადგენს ტურიზმის, მხარემცოდნეობითი და საექსკურსიო მუშაობის საშუალებით მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა.

1. 2. თავისი საქმიანობით ტურისტული სადგურები ხელს უწყობს;

— პიონერებში და მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებას.

— ზრდის მოსწავლეებს ვ. ი. ლენინის და მისი თანამებრძოლების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით.

— უნერგავს პიონერებს და მოსწავლეებს საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კოლექტივიზმის გრძნობას.

— უფართოებს გონებრივ ჰორიზონტს, განუმტკიცებს სკოლაში მიღებულ ცოდნას; მხარეთმცოდნეობითი მასალის დაუფლებით უვითარებს შემეცნების ინტერესსა და ნიჭს.

— გამოუმუშავებს პიონერებსა და მოსწავლეებს შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის უნარს.

— უნერგავს მშობლიური ბუნების, ისტორიის და კულტურის ძეგლთა სიყვარულს და მათდამი ფაქიზ დამოკიდებულებას.

— უნერგავს მოსწავლეებს ტურისტულ მოგზაურობაში გამოსადეგ აუცილებელ ცოდნას და ჩვევებს.

—აჯანსაღებს და ფიზიკურად წვრთნის პიონერებსა და მოსწავლეებს.

1. 3. ნორჩ ტურისტთა სადგურებს, როგორც ინსტრუქციულ, მეთოდურ, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი და საექსკურსიო მუშაობის მაორგანიზებელ ცენტრებს, ევალებათ:—დახმარება გაუწიონ სკოლებს და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებებს, სახალხო განათლების ორგანოებს, ტურიზმის ექსკურსიებისა და კვლევითი მხარეთმცოდნეობითი მუშაობის მასობრივად განვითარების საქმეში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აგრეთვე, სკოლების მოსწავლეთაგან ტურისტულ-თანრიგოსანთა და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის აქტიურ ორგანიზატორთა მომზადებაში.

1. 4. ნორჩ ტურისტთა სადგურები უშუალოდ ექვემდებარება განათლების სამინისტროებს (სახალხო განათლების), მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო, საოლქო განათლების განყოფილებებს, და მუშაობენ სკოლისგარეშე დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში, ალკკ კომიტეტებთან, პიონერთა ორგანიზაციის საბჭოებთან, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან, განათლების განყოფილების, რაიონულ და საქალაქო მეთოდურ კაბინეტებთან, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოებთან, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებთან, სახელმწიფო მუზეუმებთან, ბუნების დაცვის საზოგადოებასთან, კულტურისა და ისტორიის ძეგლთა დაცვის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ნორჩ ტურისტთა სადგურები მონაწილეობას იღებენ პიონერთა სასახლეებისა და სახლების ტურიზმის განყოფილებების მუშაობის წარმართვაში.

1. 5. ნორჩ ტურისტთა სადგურები იქმნებიან განათლების სამინისტროების (სახალხო განათლების) მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების სამხარეო, საოლქო განათლების სახალხო განყოფილებების მიერ, მოკავშირე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ნებართვის და შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების საბჭოების გეგმებისა და ბიუჯეტში გათვალისწინებული მონაცემების ფარგლებში.

## 2. ნორჩ ტურისტთა სადგურების მუშაობის შინაარსი

2. 1. ინსტრუქციულ-მეთოდური მუშაობა.

2. 1. 1. ადგილობრივი პირობების კვალობაზე ამუშავებს რეკომენდაციებს ტურისტულ-მხარეთმცოდნეობით და საექსკურსიო მუშაობის საკითხებზე, სკოლებისათვის, პიონერთა რაზმეულებისათვის, ნორჩ ტურისტთა სადგურებისათვის (ბაზებისათვის) პიონერთა სასახლეებისა და სახლებისათვის, ქალაქგარეთ და საქალაქო პიონერთა ბანაკებისათვის, — შრომითი დასვენების და ტურისტუ-

ლი ბანაკებისათვის; აგრეთვე საზინაო სამმართველოების საბავშვო წრეებისათვის, კულტურის სახლებისა და კლუბების საბავშვო სექტორებისათვის, საბავშვო კულტურის სახლებისათვის; სადგური ამუშავებს ლაშქრობებისა და მოგზაურობების მარშრუტებს, დავალებებს საძიებო-კვლევითი მუშაობისათვის; ადგენს მეცადინეობების გეგმებს, ტურისტული, მხარეთმცოდნეობითი წრეებისა და სექციებისათვის საკავშირო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად; ამუშავებს თემატიკასა და გეგმებს გაკვეთილის გარეშე და სასწავლო ექსკურსიებისას; აგრეთვე ადგენს ინსტრუქციულ-მეთოდურ მასალებს, ცნობებს და გზამკვლევებს, სახელმძღვანელოებს ტურიზმის სახეობებში და სხვ. შემდეგ ამისა, ავრცელებს მათ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, პიონერთა სახლებისა და სასახლეების აქტიური მონაწილეობით; შეისწავლის, განაზოგადებს და ავრცელებს მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი და საექსკურსიო მუშაობის გამოცდილებას, სასკოლო მუზეუმების მუშაობის გამოცდილებას და სხვ.

2.1.2. განათლების განყოფილებებისა და ალკკ კომიტეტის ერთობლივი ხელმძღვანელობით, აგრეთვე, პიონერთა ორგანიზაციების საბჭოების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, რაიონული (საქალაქო) მეთოდური კაბინეტების, პიონერთა სახლებისა და სასახლეების, პროფკავშირების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების, **ტურიზმის და ექსკურსიების** საბჭოები ამზადებენ სასწავლო-საწვრთნელ ლაშქრობებში და მოგზაურობებში მასწავლებლებს, პიონერხელმძღვანელებს და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკებს და სხვა პირებს, რომლებიც ბავშვების აღზრდაში იღებენ მონაწილეობას.

საზოგადოებრივ-ტურისტული კადრები ამაღლებენ ტურისტული ბაზებისა და ბანკების ხელმძღვანელთა ჯგუფების, სექციების და კლუბების მწვრთნელების კვალიფიკაციას, ამზადებენ მწვრთნელებს ადგილზე ორიენტირებაში.

2.1.3. ტურიზმის ორგანიზატორთა, სასკოლო ტურიზმის ინსტრუქტორების, ინსტრუქტორების და ტურიზმის ინსტრუქტორ-მეთოდისტების, ექსპედიციების, მოგზაურობების, ექსპედიციების ხელმძღვანელების, ტურისტულ შეჯიბრებათა და ადგილზე ორიენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირებათა მსაჯების მომზადება და მეთოდური სწავლება ხორციელდება დასახელებულ სპეციალობათა შესაბამისად.

2.1.4. ნორჩ ტურისტთა სადგურები აწარმოებენ ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის პროპაგანდას მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და საზოგადოების ფართო ფენებს შორის, იყენებენ რა ამისათვის მასობრივ ღონისძიებებს, მუდმივ და დროებით მხარეთმცოდნეობით გამოფენებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და სხვა.

## 2.2. ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა

2.2.1. ნორჩ ტურისტთა სადგურები მონაწილეობას იღებენ მასობრივი ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში; ესენია: ლაშქრობები, მოგზაურობანი, ექსკურსიები, შეჯიბრებები, ოლიმპიადები, დათვალიერებები, კონფერენციები, გამოფენები;

ნორჩ ტურისტთა სადგურები აგრეთვე მოიზიდავენ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სკოლებს და სკოლისგარეშე დაწესებულებებს პიონერ-მოსწავლეთა საკავშირო ლაშქრობებში, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობით ექსპედიციებში, გამოფენებში შეჯიბრებებში, კონფერენციებში, დათვალიერებებში, კონკურსებში, გამოფენებსა და შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად.

2.2.2. ნორჩ ტურისტთა სადგურები:

იღებენ ტურისტულ ბაზებში ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების აღსაზრდელებს, საქალაქო და ქალაქგარეთა პიონერ-ბინაკების რაზმეულებს და აგრეთვე სკოლისგარეშე დაწესებულებებში გაერთიანებულ კოლექტივებს, სახლმართველობებში და პროფკავშირთა კლუბებში გაერთიანებულ მოსწავლეთა კოლექტივებს; დახმარებას უწევენ სკოლებს და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ექსკურსიების ორგანიზაციაში; აგრეთვე ატარებენ უფასო ექსკურსიებს სამრეწველო საწარმოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, სახელმწიფო სახალხო და სასკოლო მუზეუმებში, ბუნებაში, ისტორიულ და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

უფასოდ გასცემენ მოსწავლეებზე საჭურველს ლაშქრობებისა, მოგზაურობებისა და ტურისტული შეჯიბრებებისათვის; ასევე — თხილამურებს, ნავებსა და ველოსიპედებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.2.3. სახალხო განათლების ორგანოები მოიზიდავენ ნორჩ ტურისტთა სადგურებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ცალკეული სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და აგრეთვე რაიონებსა და ქალაქებში მიმდინარე ტურისტულ-საექსკურსიო და მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ინსპექტირებაში.

2.2.4. რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, რაიონში მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი და საექსკურსიო მუშაობის სტატისტიკური ცნობების საფუძველზე დგება მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში და ეს მასალები დადგენილი ფორმით წარედგინება შემდგომ ნორჩ ტურისტთა სადგურებს.

## 2. 3. წრეებისა და გაერთიანებების მუშაობა

2.3.1. მოსწავლეთა ცოდნის გაფართოებისა და განმტკიცების, მათში შემეცნებითი ინტერესების განვითარების, სპეციალური ჩვევების გამომუშავებისა და მათი პროფესიული ორიენტაციის გარკვევის მიზნით, ამასთანავე პიონერ-მოსწავლეთა რიგებიდან ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის აქტიური ორგანიზატორების, ნიშნოსნების და თანრიგოსნების მომზადების მიზნით ყალიბდება ფართო ქსელი წრეებისა, სექციებისა, საზოგადოებებისა, როგორც თვით სადგურში, ასევე სკოლებში, სახლმართველობებში, ბანაკებსა და ბაზებში.

ეს სექციები და წრეები შემდეგია: პიონერ-ინსტრუქტორთა მოსამზადებელი, ტურიზმის უფროსი ინსტრუქტორებისა, ნორჩი მსაჯებისა, ექსკურსიამძღოლებისა, არის წრეები და სექციები ტურიზმის შემდეგ სახეობებში: ქვეითი, სათხილამურო, სამთო, საწყალოსნო და ველოსიპედისტთა; ადგილზე ორიენტირების, ნორჩი ალპინისტებისა; აგრეთვე სპეციალიზებული ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი, ფოტო — კინო წრეები და სხვ.

წრეებისა და სექციების შემადგენლობა სწავლების პირველ წელს უნდა იყოს არანაკლებ 15 კაცისა, სწავლების მეორე წელს არანაკლებ — 12 კაცისა.

2.3.2. პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად წრეები ყალიბდება ან მთელი სასწავლო წლის ხანგრძლივობით, ან უფრო მოკლე ვადით, წრის მუშაობის შინაარსისა და თავისებურებების კვალობაზე წრის ხელმძღვანელები მეცადინეობას ატარებენ ერთდროუ-

ლად მთელ წრესთან, რგოლების მიხედვით ან ინდივიდუალურად.

სასწავლო წლის განმავლობაში ერთი წრის მეცადინეობის საათთა რაოდენობა (მათ შორის, ექსკურსიები, ადგილზე პრაქტიკული მეცადინეობები, ერთ-სამ დღიანი ლაშქრობები) ტურისტულ და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობით წრეებსა და სექციებში დადგენილია 216 საათის რაოდენობით.

თუ დაკომპლექტებული ჯგუფები და შესაბამისი პედაგოგიური ხელფასის ფონდი არსებობს, წრეებისა და სექციების მეცადინეობა შეიძლება გაგრძელდეს ზაფხულის პერიოდშიც (216 საათზე გადამეტებით) იმ მიზნით, რომ მომზადებულ და ჩატარებულ იქნას ტურისტული ლაშქრობები და მოგზაურობები, მოხდეს პირველადი დამუშავება მოგზაურობებსა და ექსპედიციებში შეკრებილი მასალისა, გარემონტდეს და ჩაბარდეს საჭურველი და ინვენტარი მოგზაურობის შემდეგ, აგრეთვე იმ მიზნით, რომ წრის წევრებმა იმუშაონ ინსტრუქტორებად და მსაჯებად სადგურის მიერ ჩატარებულ შეკრებაზე და შეჯიბრებებზე.

ხელფასით ანაზღაურდება ჩატარებული საათების შემდეგი რაოდენობა:

| | |
|---|---|
| ადგილზე პრაქტიკული მეცადინეობა ექსკურსიები ადგილობრივ დასახლებულ პუნქტებში | 4 |
| ერთდღიანი ლაშქრობა (ქალაქგარეთ ექსკურსია) | 8 |
| ორდღიანი ლაშქრობა | 14 |
| სამდღიანი ლაშქრობა | 22 |

თვეების მიხედვით მეცადინეობის განაწილება წარმოებს მუშაობის პირობების გათვალისწინებით, სადგურის დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

2.3.3. შესაბამისი თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ ნორჩ ტურისტთა სადგურები ბიუჯეტის ასიგნობების და მოზიდული სახსრების ხარჯზე წრის წევრებისა და სკოლების ტურისტული აქტივისათვის ატარებს ჩასათვლელი კატეგორიებისა და კატეგორიებისგარეშე მოგზაურობებს, სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და ბანაკებს — ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის არდადაგების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3. ნორჩ ტურისტთა სადგურების სტრუქტურა-ხელმძღვანელობა

3.1. მეთოდური განყოფილება მეთოდური კაბინეტით, გამოფენით, ბიბლიოთეკით, კინო-ფოტო ლაბორატორიით, ფონეტიკით და გამამრავლებელი აპარატით.

3.2. ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განყოფილება ლექტორიუმით.

3.3 ექსკურსიების განყოფილება.

3.4. მუდმივი და დროებითი ბაზები, რომლებიც იხსნება რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო ცენტრებში, ღირსშესანიშნავ ადგილებში, ტურისტული მარშრუტების საწყის, საშუალედო და ბოლო პუნქტებში, აგრეთვე, ქალაქების შემოგარენში; ეს შეიძლება იყოს ქვეითი ტურიზმის, სათხილამურო, საწყალოსნო, ველოტურიზმის და სამთო ბაზები.

3.5. ტურისტული ბანაკები;

3.6. ტურისტული საჭურვლის გამქირავებელი პუნქტები;

3.7. მოსწავლეთა მოგზაურობების და ექსკურსიების ბიურო (იქმნება თვითშესყიდვის წესით, იმ შემთხვევაში თუ არსებობს აუცილებელი პირობები).

3.8. ნორჩ ტურისტთა სადგურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს განათლების სამინისტრო (სახალხო განათლების), საკავშირო, ავტონომიური რესპუბლიკის ან შესაბამისი განათლების განყოფილებები. მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და ტურისტული და სკოლისგარეშე მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

დირექტორი პასუხს აგებს სადგურის სამუშაო გეგმის შესრულებაზე, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მეთოდური და მასობრივი მუშაობის მდგომარეობაზე, კადრების შერჩევაზე; იგი ნიშნავს და ათავისუფლებს მუშაკებს კანონით დადგენილი წესის მიხედვით, განაგებს სადგურის კრედიტებს, პასუხს აგებს მოსწავლეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

დირექტორს უფლება აქვს დამტკიცებული ხარჯაღრიცხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასიგნობათა ფარგლებში დადოს ხელშეკრულებები. და შრომითი შეთანხმებები.

დირექტორის მოადგილე სასწავლო-მეთოდური მუშაობის დარგში გეგმავს სადგურის სტრუქტურული დანაყოფების მუშაობას და კონტროლს უწევს მათ მუშაობას; სადგურის მუშაკებს უტარებს მეთოდურ მუშაობას მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და პასუხს აგებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, კონტროლს უწევს ტურისტულ-სამხარეთმცოდნეო წრეებს და გაერთიანებებს, არის მაორგანიზებელი და მაკონტროლებელი სადგურის ინსტრუქციულ-მეთოდური და მასობრივი მუშაობისა, აწარმოებს სტატისტიკას, ადგენს წლიურ და პერიოდულ ანგარიშებს.

სადგურის დირექტორის მოადგილეს, განყოფილებათა გამგეებს და მეთოდისტებს ნიშნავს განათლების სამინისტრო (სახალხო განათლების) საკავშირო, ავტონომიური რესპუბლიკების ან შესაბამისი სახალხო განათლების განყოფილებები.

წრეების, გაერთიანებების, კლუბების, სექციების ხელმძღვანელებს ნიშნავს დირექტორი იმ სპეციალისტთაგან, რომელთაც აქვთ საშუალო ან უმაღლესი განათლება და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.

განყოფილებების და სხვა სტრუქტურული დანაყოფების უფროსები პასუხს აგებენ განყოფილების, დანაყოფის მუშაობის ორგანიზაციაზე, განყოფილებაში ან დანაყოფში მთელი მეთოდური, მასობრივი, წრეობრივი მუშაობის ორგანიზაციაზე, აგრეთვე დაწესებულების ინტერესის გაფორმებაზე, არსებული მოწყობილობისა და სასწავლო ინვენტარის მდგომარეობაზე, წრეებისა და კოლექტივების დროულად დაკომპლექტებაზე, სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესრულებაზე, ფულადი სახსრების დახარჯვაზე, შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

წრეების, კლუბების, გაერთიანებათა ხელმძღვანელებისა და მეთოდისტების მოვალეობას შეადგენს მეცადინეობის მომზადება და ჩატარება მოსწავლეებისათვის, რომლებიც ირიცხებიან ტურისტული წრეების, კლუბების საზოგადოებების და გაერთიანებათა წევრებად; მათვე ევალებათ: მასობრივი ღონისძიებების ჩატარება; მუშაობის საუკეთესო გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება; სასკოლო წრეების და ტურისტული ჯგუფების ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელებისათვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარების ორგანიზაცია; პიონერ-ინსტრუქტორების, ნორჩი მსაჯების, ექსკურსიამძღოლების და სხვათა მომზადება.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ხელმძღვანელი, პედაგოგიური პერსონალის შტატები უნდა დადგინდეს ნორჩ ტურისტთა შესაბამისი სადგურების ტიპიური შტატების მიხედვით.

3.9. ნორჩ ტურისტთა სადგურში ყალიბდება პედაგოგიური საბჭო. მის შემადგენლობაში შედის: დირექტორი — პედსაბჭოს თავმჯდომარე; დირექტორის მოადგილე სასწავლო-მეთოდურ მუშაობაში, განყოფილების გამგეები, ტურისტული ბაზის უფროსი, ინსტრუქტორი, უფროსი მეთოდისტები, მეთოდისტ-ინსტრუქტორები, ინსტრუქტორები, აღმზრდელები, ექსკურსიამძღოლები, მწვრთნელი-მასწავლებლები, წრეებისა და სექციების ხელმძღვანელი პედაგოგები.

პედაგოგიური საბჭო განიხილავს დაწესებულებების გეგმებს, ანგარიშებს და საკითხებს მუშაობის შინაარსის შესახებ.

3.10. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი და საექსკურსიო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მიზნით, ნორჩ ტურისტთა სადგურთან საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება მეთოდური საბჭო და შემდეგი კომისიები: სამარშრუტო-საკვალიფიკაციო, მსაჯთა, სასკოლო მუზეუმების და სხვა.

საბჭოსა და კომისიების შემადგენლობაში შედიან ნორჩ ტურისტთა სადგურების, პიონერთა სასახლეებისა და სახლების ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის საუკეთესო ორგანიზატორები, მასწავლებლები და სკოლის დირექტორები, კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციის მუშაკები, კლუბების, წრეების, სექციების, სასკოლო მუზეუმების ხელმძღვანელები, ტურიზმის ოსტატები და თანრიგოსნები, ტურიზმის საბჭოს მუშაკები, სახელმწიფო მუზეუმებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

3.11. ნორჩ ტურისტთა სადგურთან მომუშავე კლუბებში საზოგადოებებში, წრეებისა და სექციების გაერთიანებებში იქმნება ბავშვთა თვითმმართველობის ორგანოები — სექციებისა და წრეების საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას, მონაწილეობენ კოლექტივის მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზებაში, შეჯიბრებების, მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში, მათ მსაჯობაში, თვითმომსახურებაში, შეფობას უწევენ უმცროს მოსწავლეებს, აგრეთვე მონაწილეობას იღებენ მოგზაურობათა და ექსპედიციათა ანგარიშების მომზადებასა და განხილვაში.

## 4. მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა

4.1. ნორჩ ტურისტთა სადგურებს აქვთ მუშაობის წლიური და კვარტალური გეგმები, ძირითად ღონისძიებათა ჩატარების გეგმები, რასაც ამტკიცებს განათლების სამინისტროები (სახალხო განათლების მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების) ან შესაბამისი განათლების განყოფილებები, ალკკ კომიტეტებთან და პიონერთა ორგანიზაციების საბჭოებთან წინასწარი შეთანხმებით.

ყოველთვიურ გეგმებს ამტკიცებს ნორჩ ტურისტთა სადგურის დირექტორი.

4.2. ნორჩ ტურისტთა სადგურები აწარმოებენ წრეების, სექციების, გაერთიანებების ინსტრუქციულ-მეთოდური მუშაობის აღრიცხვის ჟურნალს.

## 5. ნორჩ ტურისტთა სადგურების მატერიალური ბაზა, დაფინანსება და მათი ორგანიზაციის წესდება

5.1. ნორჩ ტურისტთა სადგურები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით, აქვთ დადგენილი მრგვალი ბეჭედი და შტამპი ნიმუშისა.

5.2. ნორჩ ტურისტთა სადგურების დაფინანსება წარმოებს იმ უწყების მიერ დადგენილი წესით, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან.

ნორჩ ტურისტთა სადგურები აწარმოებენ ანგარიშგებას დამოუკიდებელი ბალანსით, დადგენილი წესის მიხედვით.

ნორჩ ტურისტთა სადგურების მიერ ჩატარებული ტურისტული შეჯიბრებების, შეკრებების და სხვა ღონისძიებების დაფინანსება წარმოებს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, იმ ასიგნობათა ფარგლებში, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფილია ბიუჯეტის სახსრებიდან ნორჩ ტურისტთა სადგურე-ბის შესანახად.

5.3. ნორჩ ტურისტთა სადგურებს უფლება აქვთ იქონიონ სპეცსახსრების ანგარიში სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში.

5.4. ნორჩ ტურისტთა სადგურების ქონება, შენობა სხვადა-სხვა სამსახურეობრივი ნაგებობანი, ინვენტარი, ავტოტრანსპორტი და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებას.

შენობის, ინვენტარის, ავტოტრანსპორტისა და სხვა სატრან-სპორტო საშუალებათა არადანიშნულებისამებრ გამოყენება აკრძა-ლულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრებული № 1-2

1. განმარტებითი ბარათი . . . . . . . გვ. 3
2. სასწავლო დაწესებულებების ქსელი საქართველოს სსრ-ში (სასწავლო წლის დასაწყისისათვის) . . . . . 22

## კრებული № 3-4

1. ბრძანება № 1179—სკოლის საქმიანობის კრიტერიუმის შესახებ . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 52—მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრებს, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილების გამგეებს სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმის შესახებ . . . . . . . . . . 5
3. ბრძანება № 85-14/12 — სკოლის საქმიანობის შესახებ . 9
4. ბრძანება № 1185 — სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის, პედაგოგიურ კოლექტივებში სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ . . . . . . . . 20
5. ბრძანება № 117 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1975-1976 სასწავლო წლის დამთავრებისა და 1976-1977 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ . . 25
6. დადგენილება № 2 — რესპუბლიკის საწარმოებში ახალგაზრდობის შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის თაობაზე . . . . . . . . 28
7. ბრძანება№ 155 — რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . 32
8. ბრძანება №2 — „სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება № 18/3“ . . . . . . . 37
9. პერსპექტიული გეგმა . . . . . . . 41
10. ბრძანება № 36M/47 — მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის

ეროვნული ბიბლიოთეკა


გაუმჯობესების შემდგომი ღონისძიებების შესახებ . . 50

11. ინსტრუქცია — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამედიცინო პერსონალის მუშაობის შესახებ . . . . . 65

12. ბრძანება №57 — სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის საღამოს საშუალო სკოლებში . . . . . 72

13. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ ო. დ. ქინქლაძეს მოხსენებითი ბარათი სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საქ. სსრ განათლების სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ ქ. თბილისის საღამოს სკოლებში . . . . . . . . . . 83

14. ბრძანება№ 282 — საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახ. საშუალო სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . . . 83

15. ბრძანება № 282 — საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტიგენტით დაკომპლექტების შესახებ . . . . . . . . 88

16. საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში 1977-1978 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიღების პირობები . . . . . . . . 90


## კრებული № 5


1. ბრძანება № 371 — სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის დაუსწრებელ სკოლებში . . . . . . 3

2. ცნობა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის დაუსწრებელ სკოლებში . . . . . . . 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრებული № 6-7


1. ბრძანება № 449 — მეტყველებაში სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ . 3
2. დადგენილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციის დათვალიერება — კონკურსის შედეგების შესახებ . . . 7
3. ბრძანება № 457 — მოსწავლეთა XI საკავშირო ოლიმპიადის შედეგების შესახებ . . . . . . . 9
4. ბრძანება № 470 — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ . . . . . 11
5. ბრძანება № 480 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . 15
6. ბრძანება № 498 — სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნების დაცვის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შესახებ . . . . 19


## კრებული № 8


1. ბრძანება № 482 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ობიექტებზე მომხდარი ხანძრების შესახებ . 3
2. დადგენილება — საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადის შედეგების შესახებ . . . . . . 13
3. ბრძანება № 510 — სკოლა ინტერნატის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების შესახებ . . . 34
4. ბრძანება № 529 — ნორჩ მათემატიკოსთა ოცდამეერთე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და ოცდამეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . 38
5. დადგენილება — 1977 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ . 43
6. ბრძანება № 535 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . .48

## კრებული № 9-10

1. დადგენილება — საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ . . . . . . . . 3
2. დადგენილება — ბუნების ნორჩ დამცველთა მე-10 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და 11-ე რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ . . . . . . . . 6
3. დადგენილება — მოსწავლეთა XXXII რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და XXXIII კონფერენციის ჩატარების შესახებ . . . . . 42
4. ბრძანება № 730 — 1977 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად გამოვლენილ საუკეთესო მასწავლებელთათვის სათანადო წოდებათა მინიჭებისა და დაჯილდოების შესახებ . . . . . . . 68

## კრებული № 11

1. ბრძანება №685 — მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში სახელმწიფო სიმბოლოების — ჰიმნის, დროშისა და გერბის როლის გაძლიერების შესახებ . . . . 3
2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებისადმი . . . . . . 8
3. საქართველოს ნორჩ მევენახეთა I რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიმართვა რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობისადმი . . . . . . . . .10
4. დადგენილება — ქ. გურჯაანში ნორჩ მევენახეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ . . . 13
5. ბრძანება № 771 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ . .14
6. დადგენილება — 1975-1977 წლებში საკავშირო დათვალიერება-

ში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ . . . . . . . . 16

7. ინფორმაცია — 1975-1977 წლებში საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ . . . . . . . . . 19

8. დადგენილება — საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1978 წლის კალენდარული გეგმის შესახებ . . . . . . . . 26

9. ბრძანება № 747 — რუსული და უცხოური ენების სწავლების სრულყოფის მიზნით პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . .38

10. ბრძანება №750 — ქ. თბილისის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არაბული, სპარსული და თურქული ენების სწავლების შემოღების შესახებ . . . . . . 41

11. ბრძანება №753 — მშობლიურ ლიტერატურაში მეათე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეთერთმეტე ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ . . . . . . 43

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 754 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . 3

2. ბრძანება №758 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . 8-10

3. ბრძანება № 760 — რესპუბლიკის სადამოსა და დაუსწრებელ სკოლებში 1976-1977 სასწავლო წლის შედეგებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ამოცანების შესახებ . . . . . . . . . . . 11

4. ბრძანება №761 — ნორჩ ქიმიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . 17

5. დადგენილება — 1977 წელს სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ . 35

6. დადგენილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . 39

7. ბრძანება № 779 — უცხოური ენების სწავლების თანაფარდობის შესახებ . . . . . . . . . . . 53

8. ბრძანება №810 — ერთი სკოლიდან მეორეში მოსწავლეთა უსაფუძვლო გადაყვანის შესახებ . . . . . . . . 54

9. ბრძანება № 811 — ლოგოპედთა კადრების დანიშვნის საქმის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . 56

10. დადგენილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის (1977 წ. ) შედეგებისა და მორიგი ატესტაციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . 58

11. ბრძანება № 820-ნორჩ ფიზიკოსთა 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . 67

12. საშუალო და რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულთა ატესტატებისა და მოწმობების დუბლიკატების გაცემის წესი . . . . . . 78

14. ქრონიკა განათლების ზოგიერთი დოკუმენტის გაუქმების შესახებ .82

15. ბრძანება №846 — საქართველოს სსრ განათლების სისტემის ზოგიერთ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევისა და

და ფულადი და მატერიალური სახსრების უკანონო ხარჯვის ფაქტების შესა-
ხებ . . . . . . . . . . 83

17. ბრძანება № 864 — სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და განათლების სამინისტროს უწყების დაწესებულებების იურიდიული კადრებით უზრუნველყოფის შესახებ . . . . . . . . . 91

18. დადგენილება — 1977 წელს „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ერთიანი საკავშირო ნიშნებით რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ . . . . . . . . 96

19. ზოგადი დებულებანი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ნორჩ ტურისტთა სადგურების შესახებ . . . . . . . 99